აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№3 (25.181) 31 იანვარი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 12-17, მთიან რაიონებში - 8-13, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 768 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

საკრებულოში წლის პირველი სხდომა გაიმართა

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

ბათუმის საკრებულოში მიმდინარე წლის პირველი სხდომა გაიმართა, რომელსაც ოპოზიციიდან მხოლოდ „ლელოს“ წარმომადგენელი ვაჟა დარჩია ესწრებოდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დრო დეპუტატების პოლიტიკურ განცხადებებს დაეთმო

ვაჟა დარჩიამ მედიასაშუალებებს „ტვ25-სა“ და „მთავარ არხს“, ასევე, გაზეთების „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელ მზია ამაღლობელს მხარდაჭერა გამოუცხადა. როგორც მან აღნიშნა, 11 იანვარს, პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მისი დაკავებისას სამართალდამცავების მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას. ვაჟა დარჩიას განცხადებას მმართველი გუნდის პროტესტი მოჰყვა. დეპუტატებმა ოპოზიცია ქვეყნის საზიანო ქმედებებში დაადანაშაულეს, რაზეც, მათივე თქმით, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მეტყველებს და კოლეგას ობიექტურობისკენ მოუწოდეს. ვაჟა დარჩიამ განცხადების გაკეთების შემდეგ სხდომა დატოვა, თქვა, რომ მისთვის რეგლამენტით გათვალისწინებული განცხადებების

გაკეთების შესაძლებლობას მომავალშიც გამოიყენებს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა მშვიდ გარემოში გაგრძელდა.

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 26 მაისის ქუჩა №28-ში, პირველ სართულზე მდებარე 44,7 კვმ ფართი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა შემდგომში იქ მცხოვრებ ფიზიკურ პირებზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით. აღნიშნული ფართის გადაცემა განხორციელდა „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ რეკომენდაციის საფუძველზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის“ შესაბამისად.

საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება ბათუმის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „აჭარის რეგიონალური საავტომობილო ფედერაციისათვის“ უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მეორადი ZONDA BUS-ის მარკის ავტობუსის ფედერაციისთვის 2 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემას, შემდგომში ფედერაციასთან არსებული ავტოსკოლის მიერ მძღოლების მომზადებისა და გადამზადებისთვის გამოყენების მიზნით.

დამტკიცდა განკარგულება კვინიტაძის ქ. №3-ში, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით აშენებულ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის კონკრეტული მოქალაქისთვის სანაცვლო ქონების სახით გადაცემის თაობაზე.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცა ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (26 მაისის ქ. №28-ში მდებარე 44,7 კვმ ფართის ბინა) შემდგომში აღნიშნულ ფართში მცხოვრები მოქალაქეებისთვის საკუთრების უფლებით გადასაცემად.

საკრებულომ აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებასა და პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების პროცედურულ წესში ცვლილების შეტანის გადაწყვეტილება მიიღო. დამტკიცდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №გ-15.15232975 განკარგულებაში ცვლილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა იმ პირთა წრე, რომლებიც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენასა და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე არიან უფლებამოსილნი.

ცვლილება შევიდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში. ცვლილების თანახმად, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება დამტკიცდა FORD TRANSIT-ის მარკის M2 კატეგორიის მიკროავტობუსებით მგზავრობისას, ქალაქის ფარგლებში, შვიდ ახალ სამარშრუტო ხაზზე (№№20, 21, 22, 26, 26ა, 27, 33) იგივე მოწყვლადი კატეგორიისათვის, რომლებიც უფასოდ სარგებლობენ M3 კლასის საქალაქო სამგზავრო ავტობუსით.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ტექნიკური ხასიათის ცვლილება შევიდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ რამდენიმე დადგენილებაში. ასევე, დამტკიცდა ცვლილება ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში.

ცვლილება შევიდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ განკარგულებაში. დამტკიცდა ცვლილებები დადგენილებაში ქ. ბათუმის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“.

საკრებულომ განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია და განაშენიანების დეტალური გეგმები დაამტკიცა კონკრეტული მიწის ნაკვეთებისთვის (გაგარინის ქ. №32-ში მდებარე მიწის ნაკვეთები, მეზღვაურთა ქ. №№12, 14, 14ა, 16 და ადლიის ქ.№53-57-ში მდებარე მიწის ნაკვეთები).

დღევანდელ სხდომაზე დეპუტატებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული 21 საკითხი განიხილეს და დაამტკიცეს.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მმართველი გუნდის გადაწყვეტილება და საქართველოს ახალი პერსპექტივა

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲐᲫᲔ 595 85 80 06

მიმდინარე წლის 27 იანვარს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე „ქართული ოცნების“ დელეგაციის უფლებამოსილების შეჩერება მოითხოვეს. ქართული დელეგაციისთვის უფლებამოსილების ცნობის საკითხი ზამთრის სესიაზე შვედმა დეპუტატმა ბორიანა ობერგმა დააყენა, რასაც 5 ქვეყნის დელეგაციიდან 30-ზე მეტმა წევრმა მხარი დაუჭირა. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტი ერთპარტიულია და ქვეყანაში დემოკრატიული წყობა ნგრევის პროცესშია. აღსანიშნავია, რომ ბორიანა ობერგი „ნაციონალური მოძრაობის“ პარტნიორ „ევროპის სახალხო პარტიას“ წარმოადგენს, თუმცა ამას წინ უძღოდა ქართული ოპოზიციის მიერ სტრასბურგში გაგზავნილი წერილი, რომელშიც ისინი ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, პოლიტპატიმრების გათავისუფლებასა და ევროსაბჭოს მხრიდან დემოკრატიული ღირებულებების დაცვას ითხოვდნენ.

28 იანვარს მმართველმა გუნდმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში უფლებამოსილების ცნობის საკითხი გაასაჩივრა, ხოლო 29 იანვარს ევროსაბჭოს გადაწყვეტილება გახდა ცნობილი.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) მიიღო რეზოლუცია, რომელიც საქართველოს მომდევნო თვეებში ახალი არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდებს. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს დელეგაციის მანდატების 2025 წლის აპრილამდე რატიფიცირება გადაწყვიტა, თუმცა გარკვეული პირობებით.

მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების უფლებამოსილება დაამტკიცა, მმართველმა გუნდმა 29 იანვარსვე გადაწყვიტა, რომ საქართველოს ხელისუფლება ევროსაბჭოს ასამბლეაში მუშაობას წყვეტს.

როგორც საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თეა წულუკიანმა სტრასბურგში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ევროსაბჭომ ჩვენს ქვეყანას მიუღებელი დათქმები წაუყენა. რომელთა შორისაა პოლიტპატიმრების გათავისუფლება და ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება.

„კატეგორიულად მიუღებელია ის პირველი დათქმა, რომელიც სცილდება ამ ასამბლეის კომპეტენციას, ხელყოფს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს და უგულებელყოფს 1 120 000-ზე მეტი ამომრჩევლის ნებასა და ფაქტებს. ჩვენი მხრიდან ამ დათქმის მიღება ჩვენი ამომრჩევლისა და, შესაბამისად, საზოგადოების დიდი უმრავლესობის ღალატის ტოლფასი იქნებოდა. მიგვაჩნია, რომ იქამდე, სანამ ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების მიმართ გრძელდება სრულიად უსამართლო და დაუსაბუთებელი შანტაჟი, არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება მტკიცებულებებსა და ფაქტებს, განხილვები მიკერძოებულია და გამოირჩევა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებით, ასამბლეაში ჩვენი საპარლამენტო დელეგაციის მონაწილეობას არანაირი აზრი და გამართლება არ აქვს. საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობას ჩვენი საპარლამენტო დელეგაციის წევრები განვაახლებთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიცვლება უსამართლო დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის მიმართ და დასრულდება შანტაჟი“, - განაცხადა ევროსაბჭოში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა თეა წულუკიანმა.

ოპოზიციაში მიაჩნიათ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამ გადაწყვეტილებით საკუთარი თავი იზოლაციაში მოიქცია.

„უმსგავსობა, რომელსაც სჩადის „ქართული ოცნება“, აისახა იმ მოთხოვნებში, რომელიც გაჟღერებულია რეზოლუციაში. რეზოლუცია, პრაქტიკულად, ერთხმად მიიღო საპარლამენტო ასამბლეამ. პასუხად „ქართულმა ოცნებამ“ თქვა, რომ წყვეტს მუშაობას საპარლამენტო ასამბლეაში, რადგანაც რეზოლუცია ასახავს სწორედ იმ უმსგავსობას, რაც ჩაიდინა „ქართულმა ოცნებამ“. „ქართული ოცნების“ იქ არჩასვლით ასამბლეას, რა თქმა უნდა, არაფერი დააკლდება. „ქართული ოცნება“ საკუთარი თავის იზოლირებას აგრძელებს, მაგრამ ქართველი ხალხი გააგრძელებს ბრძოლას იმისთვის, რომ მიაღწიოს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს ამ ქვეყანაში და პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას“, - განაცხადა პარტია „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ბადრი ჯაფარიძემ.

კოალიციაში „ძლიერი საქართველო“ მიაჩნიათ, რომ ევროსაბჭოში საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუცია „ქართული ოცნების“ კრახია.

„ასეთი ტოტალური კრახი საქართველოს ისტორიაში არცერთ სამთავრობო დელეგაციას არასდროს განუცდია - წულუკიანმა სტრასბურგში დაიწყო კარიერა და იქვე დაასრულა“, - განაცხადა „ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გრიგოლ გეგელიძემ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის საბჭომ დიპლომატიური პასპორტების მთელ ქართულ ოფიციალურ პირებს უვიზო მიმოსვლა შეუჩერა. აღნიშნულ საკითხზე ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ბრიუსელში გამართულ სხდომაზე იმსჯელეს. მათი თქმით, ეს გადაწყვეტილება გამოიწვია „გამჭვირვალობის შესახებ კანონისა“ და „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტის მიღებამ. შეზღუდვა არ შეეხებათ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ტურისტული მიზნით აპირებენ მოგზაურობას.

ევროსაბჭოს გადაწყვეტილებას უარყოფითი შეფასებები მოჰყვა მმართველ პარტიაში.

საგარეო საქმეთა მინისტრ მაკა ბოჭორიშვილის განცხადებით, ევროკავშირის მიერ ქართული დიპლომატიური პასპორტების მფლობელთათვის უვიზო რეჟიმის შეჩერება ტექნიკური გადაწყვეტილებაა.

იხ. მე-4 გვ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

2025 წელს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაიწყო ფილტვის ტრანსპლანტაციის დაფინანსება. უწყების ცნობით, საჭიროების შემთხვევაში, პაციენტს ფილტვის გადანერგვა (საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯი) დაუფინანსდება არა უმეტეს 250 000 ლარისა. სამინისტრო ასევე აფინანსებს: ღვიძლის ტრანსპლანტაცია - საჭიროების შემთხვევაში პაციენტებს დაუფინანსდება 125 000 ლარით. ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვა: ძვლის ტვინის აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია - არა უმეტეს 125 000 ლარისა; ძვლის ტვინის ალოგენური ტრანსპლანტაცია - არა უმეტეს 200 000 ლარისა; ძვლის ტვინის ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია - არა უმეტეს 235 000 ლარისა. გულის გადანერგვის ხარჯი პაციენტს დაუფინანსდება არა უმეტეს 250 000 ლარისა.

* * *

აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე, დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთი საკითხი - ტიტე აროშიძისთვის, რომელიც ამჟამად ბსუ-ის რექტორია, სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ დადგენილების პროექტი განიხილეს და დაამტკიცეს. საკითხი დეპუტატებს, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მამუკა თურმანიძემ გააცნო. როგორც მან აღნიშნა, აჭარის უმაღლეს საბჭოში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შევიდა წერილი ტიტე აროშიძის უნივერსიტეტის რექტორად 4-წლიანი ვადით არჩევასთან დაკავშირებით. საკანონმდებლო ორგანოს რეგლამენტი კი, უმაღლესი საბჭოს წევრის შეუთავსებელ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას ითვალისწინებს.

* * *

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებმა შვიდი წლის ვადით სრული აკრედიტაცია მოიპოვა. „ვულოცავთ აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებს და სამუშაო ჯგუფის წევრებს მიღწეულ წარმატებას“ - წერია ინფორმაციაში.

* * *

„ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შეძენის“ პროგრამის ფარგლებში ქედის მუნიციპალიტეტში ოთხი ახალი სახლის სამშენებლო სამუშაოები დასრულდა. აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ქედელთა დელეგატმა მამუკა თურმანიძემ, ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სოფელ აგოთაში გურგენ დუმბაძის მრავალშვილიან ოჯახს ახალმოსახლეობა მიულოცეს. გურგენის მეუღლე და ოთხი შვილი ცხოვრებას უსაფრთხოდ, ახალ თანამედროვე ტიპის საცხოვრებელ სახლში გააგრძელებენ. შარშან, პროგრამის ფარგლებში, ოთხი საცხოვრებელი სახლი აშენდა და სამშენებლო სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 307 792 ლარი იყო მობილიზებული. პროგრამა მიმდინარე წელსაც გაგრძელდება, რომლის ფარგლებშიც სამი ახალი სახლი აშენდება.

* * *

აჭარის პოპულარიზაცია სამიზნე ქვეყნებში გრძელდება. ამჯერად, რეგიონის ტურისტულ შესაძლებლობებს ლიეტუვაში, ვილნიუსის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე „dventur 2025“ ეცნობიან. გამოფენის ვიზიტიორებს საშუალება აქვთ, რეგიონის სამთო და საზღვაო ტურისტული პროდუქტების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ, პარალელურად კი ქართული ღვინო და ჩურჩხელა დააგემოვნონ.

* * *

ქობულეთის და ქედის მუნიციპალიტეტებში მეწყრული პროცესები განვითარდა. ფერდიდან ჩამოშლილი მიწის მასის შედეგად ჩაქვი-ქვედა აჭყვის საავტომობილო გზა ჩაიკეტა. დაიმეწყრა ოქტომბერი-მეძიბნა-აგოთას საავტომობილო გზაც. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის სპეცტექნიკა ინტენსიურ რეჟიმში ახორციელებს გზების გაწმენდის სამუშაოებს. უწყების ინფორმაციით, ადგილობრივებს შესაძლებლობა აქვთ ალტერნატიული გზებით ისარგებლონ.

* * *

აჭარის სპორტის დეპარტამენტის ინფორმაციით, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ბესო მახარაძე 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონი გახდა, ხოლო ვიცე-ჩემპიონობა, 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში, გიორგი კოჩალიძემ მოიპოვა.

* * *

ჭადრაკი ხულოში პოპულარობას არ კარგავს. თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ძალისხმევით, დიდაჭარაში მალე დაიწყება ჭადრაკის სასახლე „ნონას“ სარემონტო სამუშაოები. მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელების, სკოლებისა და სასპორტო სკოლის დირექტორების ორგანიზებით, ჭადრაკში გოგონებსა და ვაჟებს შორის მუნიციპალური ჩემპიონატი ჩატარდა, რომელშიც სხვადასხვა სკოლის 90 მოსწავლე ასპარეზობდა. გამარჯვებულებს მედლები, თასები, სიგელები და ფულადი ჯილდოები მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ჯამბულატ მელაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ და სხვა ხელმძღვანელებმა გადასცეს.

* * *

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლევან ყოლბაიამ ხელოვნების უნივერსიტეტის დეკანი მამუკა ჯორბენაძე და ამავე უნივერსიტეტის 3 სტუდენტი - გურამ მიქელაძე, დავით გვიანიძე და გიორგი დავითაძე 5000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა, ხოლო 1 სტუდენტი - ანრი კაკაბაძე, პატიმრობაში დატოვა. ანრი კაკაბაძის შემთხვევაში მოსამართლემ გაითვალისწინა, ბრალდების მხარის არგუმენტი, რომ იგი წარსულში ნასამართლევია. გათავისუფლებულებს სასამართლოს შენობასთან სტუდენტები დახვდნენ, რომლებიც დაკავებულებს გულშემატკივრობდნენ. ცნობისთვის: გამძიების ინფორმაციით, ლექტორი და სტუდენტები, ბათუმში ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. კერძოდ, გამძიების ინფორმაციით, 2024 წლის 3 დეკემბერს, ბათუმში გამართული საპროტესტო აქციის ფარგლებში, აქციის მონაწილეთა ჯგუფი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში შევიდა რექტორის სამუშაო ოთახთან ბანერის გაკვრის მიზნით. ამის საშუალება არ მისცა ამავე უნივერსიტეტის ლექტორმა, რომელსაც ამავე უნივერსიტეტის დეკანმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. გამძიების თანახმად, დადგინდა, რომ დეკანი და მისი სტუდენტები მოგვიანებით ლექტორის მეუღლეს და მის მეგობარს უნივერსიტეტის შენობაში ფიზიკურად გაუსწორდნენ.

დიდი მოლოდინის შუქ-ჩრდილები

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

აშშ-ის ახალი პრეზიდენტი 20 იანვარს ოფიციალურად შეუდგა უფლებამოსილების შესრულებას. როგორ წარიმართება მოვლენები მსოფლიოში? როგორია დონალდ ტრამპის გეგმები? როდის დასრულდება რუსეთ-უკრაინის ომი? როგორ განვითარდება პროცესები ჩინეთსა და ირანთან? რა შეიცვლება საქართველოსა და დასავლეთს შორის ურთიერთობებში? - ეს ის საკითხებია, რომელთა გაცნობიერება და სასურველად გადაჭრა, ამ ეტაპზე, უმნიშვნელოვანესია მთელი მსოფლიოსთვის და რომლებზეც გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) პროფესორი ***გიორგი კობერიძე.***

- დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევით რა იცვლება მსოფლიოში?

- დონალდ ტრამპი გამოკვეთილად მემარჯვენე პრეზიდენტია. ბოლო წლებში აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შედარებით ცენტრისტი და მემარცხენე პოლიტიკოსები ჭარბობდნენ, თვით ტრამპის პირველი ადმინისტრაციის პერიოდიც არ იყო ასეთი მემარჯვენე შეხედულების, როგორიც დღესაა, რაც თვისებრივად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ მემარჯვენე პოზიციების გამყარება მსოფლიოში საკმაოდ ეფექტურად მიმდინარეობს.

- რა გზავნილები იკითხებოდა ტრამპის საინაუგურაციო სიტყვაში?

- როგორც ცნობილია, მან დააანონსა ამერიკის ეკონომიკური და პოლიტიკური ზრდა, მათ შორის - საკმაოდ პროაქტიური საგარეო პოლიტიკა. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ აშშ წლების განმავლობაში იყო უფრო რეზონანსულ პოზიციაში, ანუ როცა რაღაც ხდებოდა, მხოლოდ შემდეგ გასცემდა პასუხს, ანუ იყო მოპასუხის პოზიციაში. დღეს ეს ყველაფერი ასე აღარ იქნება არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკაში.

- რა მთავარი გამოწვევები ელოდება ტრამპს საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით?

- შეიძლება ითქვას, რომ აშშ მოკავშირეებსა და მოწინააღმდეგეებთან იქნება საკმაოდ პრინციპული და ხისტი. ტრამპის ადმინისტრაცია ამ მხრივ, გარკვეულწილად, გამოირჩეოდა. მაგალითად, ნატოსთან მიმართებით ის ითხოვდა იმაზე მეტს, ვიდრე ნატოს წევრი ქვეყნები აკეთებდნენ, მათ შორის, საუბარი მაქვს დაფინანსების ზრდაზე, რაც პრინციპულად სწორი პოზიცია იყო. დღეს ეს ყველაფერი გაზრდილია, ტრამპი ადრე ამბობდა, რომ ნატოს წევრებს ქვეყნის მშპ-ის ორი პროცენტით უნდა დაეფინანსებინათ ორგანიზაცია, დღეს ის უკვე ითხოვს ხუთ პროცენტამდე დაფინანსებას, რაც ძალიან დიდ ზრდაზე მიუთითებს. ხაზი უნდა გაესვას, რომ ტრამპის ადმინისტრაციას არაპროგნოზირებადობა ახასიათებდა და, მაღალი ალბათობით, ამ ხაზს მოქმედი ხელისუფლებაც გააგრძელებს. პოზიციები, რომლებიც გაჟღერდა (საუბარი არ მაქვს გრენლანდიასა და პანამაზე), შედარებით ზოგადია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დასკვნებს ვერ გამოვიტანთ. ტრამპის ადმინისტრაცია იქნება უფრო აქტიური, მაგრამ ამაში რა შეიძლება იგულისხმებოდეს და როგორ შეიძლება კონკრეტულ ვითარებაში შეიცვალოს, ჯერ კიდევ გასარკვევია.

- ჩინეთის მზარდი გეოპოლიტიკური მიზნების, რუსეთის იმპერიული ზრახვების, ირანის ბირთვული ამბიციის აღსაკვეთად ტრამპს რა მექანიზმები აქვს?

- ტრამპისთვის ნათელია, რომ ერთპოლუსიანი სამყარო, რომელშიც აშშ დომინირებდა, იცვლება და ასპარეზზე გამოდიან ისეთი ძალები, როგორიც ჩინეთი, რუსეთი ან, თუნდაც, ირანია. მათ შესაკავებლად აშშ-ს მოუწევს მეტი რესურსის დახარჯვა. მან შეიძლება განხეთქილება შეიტანოს ჩინურ, რუსულ და ირანულ ღერძში და შეეცადოს, ერთმანეთს გადაამტეროს აღნიშნული მოთამაშეები, თუმცა ამის განხორციელება საეჭვოა, რადგან მოცემულ რეალობაში რუსული, ჩინური და ირანული კოალიცია შექმნილია არა რაღაც იდეოლოგიაზე, მიზნებზე, არამედ ამერიკის მიმართ სიძულვილზე დაყრდნობით, შესაბამისად, ტრამპის ერთადერთი მცდელობა შეიძლება იყოს მოლაპარაკებების წარმოება და თვისებრივად ხისტი ღონისძიებების გატარება ამა თუ იმ სახელმწიფოს მიმართ. ყოველ შემთხვევაში, ეს იქნება რაღაც პრეცედენტული ქცევები, ანუ პრეცედენტულ დასჯა-დაჯილდოებასთან გვექნება საქმე.

- რა შეიძლება ითქვას ტრამპის გეგმაზე უკრაინასთან დაკავშირებით?

- მისი პოზიცია უკრაინასთან მიმართებით არის ყველაზე ბუნდოვანი, მაგრამ ის შეეცდება პუტინის მოლაპარაკებების მაგიდასთან დასმას, რუსეთისა და უკრაინისთვის ისეთი პირობების შეთავაზებას, რომლითაც საერთაშორისო სამართლის წესრიგი გადარჩება. ეს ნიშნავს არა მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტას, არამედ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას, სხვა შემთხვევაში, თუკი უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა არ იქნება მოლაპარაკებების შემდეგ აღიარებული, ეს ავტომატურად ნიშნავს დაპყრობითი ომების დაბრუნებას და არსებული სამართლებრივი წესრიგის მოშლას. სავარაუდოდ, ტრამპი რუსეთზე ზეწოლის პოლიტიკას კიდევ უფრო გააძლიერებს, რათა დაიყოლიოს იმ ტიპის მოლაპარაკებაზე, რომელიც ნაკარნახევი იქნება აშშ-ის მიერ, თუმცა რუსეთის პოზიციები ისეთია, რომ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა იქნას აღიარებული, ნაკლებად მგონია.

- ისე ჩანს, რომ დასავლეთი არც უკრაინის გამარჯვებით და არც რუსეთის რეალური მარცხითაა დაინტერესებული...

- წლების განმავლობაში არ იყო ჩამოყალიბებული, რას გულისხმობდა რუსეთის გამარჯვება და უკრაინის დამარცხება ან პირიქით - უკრაინის გამარჯვება და რუსეთის მარცხი, ამაზე მიდიოდა დისკუსია, კამათი... დღესაც ეს ყველაფერი ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. თავდაპირველად იგულისხმებოდა, რომ რუსეთი დამარცხდებოდა, თუკი კიევს ვერ აიღებდა. რა თქმა უნდა, კიევი ვერ აიღო, ამიტომაც მისი მთავარი სტრატეგიული მიზანი შეუსრულებელი დარჩა, რუსეთის სრულმასშტაბიანი გამარჯვება ვერ შედგა, მაგრამ ომის დღევანდელ ვითარებაში ამ სრულმასშტაბიან გამარჯვება-დამარცხებაზე აღარ არის საუბარი, აქ უკვე საუბარია, თუ რომელი მხარე იმარჯვებს და რომელი მხარე შექმნის პრეცედენტს. რეალურად, რუსეთისთვის გამარჯვება იქნება ამ ტერიტორიებზე (რომლებიც ოკუპირებული აქვს) დე იურე კონტროლის მოპოვება ან იმგვარი კონტროლის მოპოვება, რომელიც გულისხმობს, რომ ეს ტერიტორიები მისი შეიძლება გახდეს. თუ ეს ასეც მოხდა (რისი შანსი მინიმალურია), ცხადია, არსებულ საერთაშორისო წესრიგს სრულად დაარღვევს, რაც ჩვენთვის და ყველა სახელმწიფოსთვის ძალიან საშიშია. მეორე - რუსეთის წარმატება იქნება ცეცხლის შეწყვეტა, მაგრამ უკრაინამ ვერ მიიღო ვერანაირი გარანტია - ვერ მიიღო ნატოში გაწევრიანება, ვერც დასავლეთის შეიარაღებული ძალების განთავსება საკუთარ ტერიტორიაზე. ეს ყველაფერი, ცხადია, დიდი პრობლემა იქნება უკრაინისთვის, რადგან შეიძლება რუსეთს არ ჰქონდეს ამ ტერიტორიებზე დე იურე კონტროლი, მაგრამ ექნება პლაცდარმი, რომ სამომავლოდ საბოტაჟი განახორციელოს უკრაინის წინააღმდეგ, ანუ განაახლოს საბრძოლო მოქმედებები. რუსეთის სრული მარცხი გულისხმობს მისი ძალების გაყვანას უკრაინის ტერიტორიიდან ან უკან დახევას თუნდაც ომამდელ პოზიციამდე. აი, ამ შემთხვევაში იქნება ეს ერთგვარი მარცხის აღიარება რუსეთის მხრიდან. უკრაინისთვის საკმაოდ დიდი წარმატების პირობაა ისიც, თუკი რუსეთის სამხედრო ძალები გააჩერეს. ცეცხლი შეწყდება, უკრაინა შევა ნატოში, უკრაინის მილიტარიზაცია დაიწყება, რომელიც, ადრე თუ გვიან, რუსეთის დასუსტებით აუცილებლად ისარგებლებს და შესაძლოა, თავისი დღის წესრიგი დააყენოს რუსეთის წინააღმდეგ. სწორედ ამის ეშინია რუსეთს, რომელმაც იცის, რომ დრო მაინც-დამაინც მასზე არ მუშაობს (გრძელვადიან პერიოდზე მაქვს საუბარი) და ამიტომაც ცდილობს, უკრაინის საკითხი რაც შეიძლება მალე მოაგვაროს ან ის მაინც არ დაუშვას, რომ უკრაინა ნატოში შევიდეს და არ მოხდეს მისი აქტიური მილიტარიზაცია.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ დასავლეთის და საქართველოს ურთიერთობები უარესდება და თუ ეს პროცესი გაგრძელდა, ქვეყანა იზოლაციაში მოექცევა...

- ვერ ვიტყოდი, რომ საქართველოს და დასავლეთს შორის ურთიერთობები უარესდება, უარესდება „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ძალასა და დასავლეთს შორის ურთიერთობები. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთი რეგიონიდან კი არ გადის, არამედ ამცირებს გარკვეულ ჩართულობას საქართველოსთან მიმართებით, რაც, რა თქმა უნდა, დამაზიანებელი იქნება ეკონომიკური, სამხედრო და, სხვათა შორის, კულტურული თვალსაზრისითაც. ცნობილია, რომ საქართველო დამოუკიდებელობის 34 წლის განმავლობაში ცდილობდა, მართლაც განვითარებულიყო სწორედ დასავლური დახმარებით, დასავლური აქტიური ჩართულობით, რაც პრობლემა არ იყო, პირიქით - დასავლეთი ამაში აქტიურობდა. დღეს ეს პოლიტიკა გადაიხედა. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი არანაირად არ ცდილობს საქართველოს მოსახლეობის დაზიანებას, მმართველი პარტია თუ გაწყვეტს კავშირს და ჩამოეკიდება მხოლოდ რუსულ-ჩინურ ორბიტას, შედეგი ძალიან მძიმე იქნება საქართველოსთვის.

- ყალიბდება თუ არა ახალი მსოფლიო წესრიგი?

- ის დამყარდება, თუკი რუსეთი უკრაინაში გაიმარჯვებს ან დასავლეთი ჩაიკეტება და სრული კარტბლანში მიეცემა რუსეთს, ჩინეთს, ირანსა და მათ მოკავშირეებს, თუნდაც, მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში, სადაც დასავლეთი არ არის. ეს იგულისხმება ახალ მსოფლიო წესრიგში. ჯერჯერობით, ამ მხრივ, კონტურებია გამოხატული, მაგრამ ამ კონტურებიდან ჩანს, რომ არადასავლური ძალები ეცდებიან, დღის წესრიგში (ყოველდღიურობაში) დააბრუნონ დაპყრობითი ომების სერიები და ყველა სუსტი სახელმწიფო, პოტენციურად, შეიძლება აღმოჩნდეს სამიზნე, რაც ძალიან დიდი საფრთხის შემცველია. დღეს გზაჯვარედინზე ვდგავართ, ნებისმიერ მდგომარეობაში შეიძლება მივიღოთ ახალი მსოფლიო წესრიგი. სამყარო აღარ არის ისეთი, როგორიც რამდენიმე წლის წინ იყო, იგი გახდა უფრო მკაცრი, ხისტი, უფრო არაპროგნოზირებადი და სამართლებრივ ნორმებზე ნაკლებად დამოკიდებული.

- საქართველო რომ არ აღმოჩნდეს რუსეთის ორბიტაზე, ქვეყნის ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს?

- რუსეთი ახლა არის დასუსტებული, ისეთი, როგორიც არ ყოფილა ბოლო ორ ათწლეულში, შესაბამისად, საქართველოსთვის ეს არის უნიკალური შანსი, სრულიად მოწყდეს მას და გადაერთოს დასავლურ ორბიტაზე. რუსეთს საქართველოსთვის არ სცალია - სანქცირებულია, მძიმე ომშია ჩართული, აქვს უმძიმესი დანაკარგები, მაგრამ თუკი ამ ომში გაიმარჯვებს, თუკი საქართველოს ხელისუფლება (ვინც არ უნდა იყოს) იქნება პრორუსული, თუკი საქართველო ამასობაში არ გაძლიერდება, არ შემოვა დასავლური ფული, დასავლური დახმარება, ჩვენი ქვეყანა არ შეეცადა სასწრაფო წესით გაწევრიანებას ევროკავშირსა და ნატოში, რუსეთი აუცილებლად ისარგებლებს ამ ყველაფრით. შესაბამისად, საქართველოს ეს უნიკალური გაძლიერების ფანჯარა, რომელიც ჰქონდა, მომავალში შეიძლება აღარ ჰქონდეს, ამიტომ დღეს ჩვენი პოლიტიკური ელიტების ხელში არის სრული კარტბლანში, თუ მათ მართლა სურთ დასავლეთისკენ სწრაფვა, ამაზე კარგი შანსი ბოლო ორ ათწლეულში არ ყოფილა. 20 წლის წინ რუსეთი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე დღესაა... როგორც ვთქვით, იგი იმყოფება კონფლიქტში, სადაც, გარკვეულწილად მისი ბედი წყდება. ამჟამად რუსეთის პრიორიტეტი საქართველო არ არის, როგორც 2005-2010 წლებში იყო... მას საქართველოსთან მოკავშირეობა არ უნდა, კრემლის ინტერესია საქართველო დასუსტებული, გამოფიტული და მასზე დამოკიდებული, უპერსპექტივო სახელმწიფო იყოს, რომელსაც არც ტერიტორიული მთლიანობა ექნება და არც პერსპექტივა.

- დაბოლოს, დასავლეთმა რა უნდა გააკეთოს, რუსეთმა მიზანს რომ ვერ მიაღწიოს?

- ის მიზანს ვერ მიაღწევს, თუკი აღარ ექნება ომის წარმოების პოლიტიკური ნება, რაც არ ექნება, თუ მისი სამხედრო ძალები გამოიფიტება. სხვა შემთხვევაში, რუსეთი პოლიტიკურ ნებას არ დაკარგავს. ომი, როგორც თეორეტიკოსი მაიკ მარტინი ამბობს, სრულდება არა ფრონტის ხაზზე, არამედ ადამიანების გონებაში. როდესაც ლიდერები დარწმუნდებიან, რომ ომს ვერ მოიგებენ, ისინი ომს ვეღარ მოიგებენ, მაგრამ სანამ მათ აქვთ პოლიტიკური ნება, ომი გააგრძელონ და იყვნენ აგრესიულები, მანამდე ომი არ დასრულდება. სწორედ ეს არის ამოსავალი წერტილი. მოკლედ, ომის დასასრულებლად საჭიროა უზარმაზარი მზაობის გამოხატვა დასავლეთისგან და შეიარაღების მიწოდება უკრაინისთვის, სხვა შემთხვევაში ძალიან რთული იქნება რუსეთთან ომის მოგება. დასავლეთს უწევს ბრძოლა არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ საკუთარი დღის წესრიგის გადასარჩენად, რაც ნიშნავს, მაქსიმალურად დაეხმაროს უკრაინას და რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენოს თავისი პოლიტიკური ნება, რომელიც აგრესორს დაუკარგავს მოტივაციას, კვლავ ჩართული იყოს აქტიურ საბრძოლო მოქმედებაში.

> *„ ტრამპისთვის ნათელია, რომ ერთპოლუსიანი სამყარო, რომელშიც აშშ დომინირებდა, იცვლება და ასპარეზზე გამოდიან ისეთი ძალები, როგორიც ჩინეთი, რუსეთი ან, თუნდაც, ირანია. მათ შესაკავებლად აშშ-ს მოუწევს მეტი რესურსის დახარჯვა. მან შეიძლება განხეთქილება შეიტანოს ჩინურ, რუსულ და ირანულ ღერძში და შეეცადოს, ერთმანეთს გადაამტეროს აღნიშნული მოთამაშეები, თუმცა ამის განხორციელება საეჭვოა*

უკრაინული ტელეკომპანია: ამ რეზოლუციას ამზადებდა უკრაინული დელეგაცია ქართულ ოპოზიციასთან ერთად

უკრაინული ტელეკომპანია Freedom-ის ჟურნალისტის განცხადებით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია საქართველოს შესახებ უკრაინული დელეგაციისა და ქართველი ოპოზიციონერების მიერ იყო მომზადებული.

„ამ რეზოლუციას ამზადებდა უკრაინული დელეგაცია ქართულ ოპოზიციასთან ერთად“, - თქვა ჟურნალისტმა პირდაპირი ჩართვის დროს.

შეგახსენებთ: *გუშინ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად, საქართველოს დელეგაციას აპრილამდე შეზღუდული უფლებამოსილება ექნება. დოკუმენტში მოცემულია გარკვეული პირობები, რომელთა შესრულებასაც საქართველოს ხელისუფლებას აპრილამდე სთხოვენ. მათ შორის არის პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება და ახალი არჩევნების გამოცხადება. მოგვიანებით პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ ქართული დელეგაცია ევროსაბჭოს ასამბლეაში მუშაობას წყვეტს.*

სურსათის უვნებლობა ეხება ყველას!

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ფერმიდან სუფრამდე საკვები გრძელ გზას გადის. ეს ერთგვარი ჯაჭვია, რომელშიც მრავალი რგოლია ჩაბმული, სურსათით გამოწვეული რისკებისგან ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა კი თითოეული ჩვენგანის ამოცანაა

ბევრი ვერ ამჩნევს, როგორ მოქმედებს სურსათის უვნებლობის საკითხი მის კეთილდღეობაზე. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მსოფლიოში ყოველ წელს სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება, ისაა, რომ მეტ ყურადღებას ვაქცევთ, რას ვიღებთ საკვების სახით, ორიენტირებულები ვართ, აღმოვაჩინოთ საფრთხეები, შევამციროთ რისკები. საგულისხმოა, რომ დაავადებების უმეტესობა ჩნდება გარემოდან, მცირე წილი აქვს ამ საკითხში გენეტიკას, შესაბამისად, გარემოს გაუმჯობესება, მასზე ზრუნვა და მასთან მუდმივი კონტაქტი რაციონალური გადაწყვეტილებაა.

სურსათის ეროვნული სააგენტო მთელი ქვეყნის მასშტაბით მუდმივად ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს სხვადასხვა პროფილის ბიზნესოპერატორებთან, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული როგორც ადგილობრივი მომხმარებლის, ასევე ტურისტების სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

დღეს ჩვენი სტუმარია სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველოს უფროსი ***თამარ ბერძენიშვილი.***

- ქალბატონო თამარ, რა არის სურსათის უვნებლობა?

- ის კონცეფციაა, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი სურსათი, მისი მიზნობრივი გამოყენების შემთხვევაში, ზიანს არ უნდა აყენებდეს ადამიანის ჯანმრთელობას. ქვეყანაში ერთადერთი მაკონტროლებელი ორგანო, სურსათის უვნებლობის მხრივ, არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო.

- როდის მიიჩნევა სურსათი მავნედ?

- თუ იგი რისკს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს, თუ მასში ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში ქიმიური და ბიოლოგიური წარმოშობის ნივთიერებები დაგროვდა. ამ ნივთიერებების დაგროვება კი როგორც ბიოლოგიური, ისე სასურსათო ჯაჭვის მეშვეობით ხდება.

- როგორ ხდება კონტროლი და რა მასშტაბებს მოიცავს იგი?

- ქვეყანაში სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მასშტაბი და სიხშირე განისაზღვრება სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამით, რომელიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ მტკიცდება და სურსათის ეროვნული სააგენტოს სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს. ეს პროგრამა მთელ რიგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით მუშავდება, როგორიცაა ხელმისაწვდომი ფინანსური და ადამიანური რესურსები და რისკის დონეები, რომლებიც, თავის მხრივ,

კიდევ ცალკე კრიტერიუმებადაა დაყოფილი. გარდა ამისა, არსებობს არაგეგმური სახელმწიფო კონტროლი, რომელიც, უმეტესწილად, სწორედ, მოსახლეობის ჩართულობითაა განპირობებული.

- რა არის დღეს სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით მთავარი გამოწვევა?

- სურსათისმიერი დაავადებები არის პრობლემა, რომელიც კაცობრიობას უხსოვარი დროიდან თან სდევს. სწორედ ამიტომ, უკვე რამდენიმე ასწლეულია, ადამიანები ცდილობენ, თავი დაიცვან მავნე და უხარისხო სურსათის მოხმარებისაგან, სწორედ ამიტომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ შეიმუშავა „ხუთი გასაღების“ პრინციპი: 1. დაიცავით სისუფთავე; 2. განაცალკევეთ უმი ანუ დაუმუშავებელი და მზა სურსათი; 3. მომზადებისას საჭიროა პროდუქტების სათანადო თერმული დამუშავება; 4. სურსათის შენახვის დროს დაიცავით უვნებელი ტემპერატურული რეჟიმი; 5. გამოიყენეთ უვნებელი წყალი და სასურსათო ნედლეული. სურსათის უვნებლობის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება, რაც, პირველ რიგში, იწყება გარეგანი შეფასებით, რა პირობებში არის განთავსებული სარეალიზაციო სურსათი (იყიდება თუ არა ორგანიზებულად, სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებში, დაცულია თუ არა სურსათის მიკვლევადობის, ეტიკეტირებისა და შენახვის ვადები). მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ ქვეყანაში დამკვიდრებულია სურსათის უვნებლობის მართვის თანამედროვე სისტემა, ინტეგრირებული მიდგომა „ფერმიდან სუფრამდე“, რაც იმას ნიშანავს, რომ ხორციელდება ამ ჯაჭვში ყველა რგოლის კონტროლი, რაშიც, ქვეყნის მასშტაბით, ჩართულნი არიან მაღალკვალიფიციური კადრები. დიდ გამოწვევად რჩება, ასევე, ცხოველური წარმოშობის სურსათის ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენებით დაბინძურება, ხშირ შემთხვევაში, გლეხების მიერ ვეტპრეპარატებით მკურნალობა ვეტერინარებთან კონსულტაციის გარეშე. ისინი არ იცავენ, ასევე, დაყოვნების ვადებს, რასაც სახელმწიფო კონტროლის დროს (სურსათის ნიმუშების კვლევა) ვაწყდებით. ჩვენი კარი მუდამ ღიაა დაინტერესებული მოქალაქეებისთვის და ნებისმიერ შემთხვევაში მზად ვართ საჭირო კონსულტაციის გასაწევად (ცხელი ხაზი - 1501).

- ვინ არის პასუხისმგებელი სურსათის უვნებლობაზე?

- სურსათის უვნებლობაზე ძირითადი პასუხისმგებელი არის მეწარმე - ბიზნესოპერატორი, ანუ პირი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია სურსათის წარმოებასთან, მათ შორის, პირველად წარმოებასთან, გადამუშავებასა და დისტრიბუციასთან. სწორედ იგია ვალდებული უზრუნველყოს სურსათის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან მისი წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ეტაპებზე. სამთავრობო ორგანოები პასუხისმგებლები ვართ ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე, სურსათით გამოწვეული რისკების შემცირებაზე, სურსათის უვნებლობის შესახებ მოსახლეობის და მეწარმე-ბიზნესოპერატორის ცნობიერების ამაღლებაზე, სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაზე. მომხმარებლებს უფლება აქვთ, მიიღონ უვნებელი სურსათი, თუმცა გარკვეული პასუხისმგებლობა მათაც აკისრიათ - ეს არის სურსათის ვარგისიანობის და შენახვის, ჰიგიენის პირობების, ასევე, სურსათის მოხმარებასთან ან მომზადების წესებთან დაკავშირებით მწარმოებლის, ბიზნესოპერატორის მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების დაცვა და კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი პრინციპი - მომხმარებელმა ბაზარზე განთავსებული მავნე სურსათის შესახებ ინფორმაცია დროულად უნდა მიაწოდოს მაკონტროლებელ ორგანოს. ვისარგებლებ თქვენი გაზეთის მეშვეობით და მოსახლეობას მივაწოდებ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობების შესახებ, რომელიც მოიცავს, ასევე, ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებებს. აქტიურად მიმდინარეობს ცხოველთა გადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოწამვლების საწინააღმდეგო ღონისძიებები, ასევე ცხოველთა რეგისტრაცია/იდენტიფიკაცია. ამ პროცესში მონაწილეობა ევალება როგორც ბიზნესოპერატორებს, ისე ოჯახურ წარმოებებს და ეს ღონისძიებები სრულიად უფასოა! დღეისათვის, საერთაშორისო მოთხოვნების, ქართული და ევროპული კანონმდებლობის შესაბამისად, აქტიურად ვიცავთ მომხმარებელთა ინტერესებს, ვახდენთ რისკის ანალიზს, უზრუნველვყოფთ გამჭვირვალობას და პრევენციას, რისთვისაც კიდევ მეტი ძალისხმევაა საჭირო და თქვენი, მოსახლეობის როგორც ყველაზე დიდი რგოლის, ჩართულობა.

მმართველი გუნდის გადაწყვეტილება და საქართველოს ახალი პერსპექტივა

მე-2 გვერდიდან

„ეს არის ტექნიკური გადაწყვეტილება. დავაკვირდებით, რომელი ქვეყანა როგორ აღასრულებს ევროკავშირის საბჭოს ამ გადაწყვეტილებას. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ურთიერთობები უფრო დიდ სურათში და ამ ურთიერთობებში, როდესაც ევროკავშირის მხარე დიპლომატებს, დიპლომატიური პასპორტების მფლობელებს ეტყვის იმას, რომ ისინი თურმე საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგს ევროკავშირში, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ეს მოკლებული იქნება რაიმე საფუძველს და იმ მიზანს, რომ ევროკავშირის მხრიდან დავინახოთ მზაობა საქართველოსთან ურთიერთობების გაჯანსაღებისთვის“, - აღნიშნა მაკა ბოჭორიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

სტრასბურგში იმყოფებოდნენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც, რომლებიც თავის მხრივ, მართავდნენ შეხვედრებს ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან.

გადმოვინაცვლოთ საქართველოში, კერძოდ, თბილისსა და აჭარაში, სადაც მალე ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე მიმდინარე კვირის დასაწყისში არაბთა გაერთიანებულ საამიროებში იმყოფებოდა, სადაც, ვიზიტის ფარგლებში, არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტ შეიხ მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანს შეხვდა. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, შეხვედრის დასრულების შემდეგ, არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტის რეზიდენციაში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმად, საქართველოს ისტორიაში პირველად, ქვეყანაში 6 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდება. უმსხვილესი დეველოპერული კომპანია Emaar Properties/Eagle Hills-ი საინვესტიციო პროექტებს თბილისსა და გონიოში განახორციელებს.

„ემაარ ჯგუფი“ არის მსოფლიოში ცნობილი თავისი გამოცდილებით, რესურსებით და ჩვენთვის საამაყოა, რომ ეს შეთანხმება გაფორმდა. ძალიან მალე პროექტის განხორციელება დაიწყება. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, თბილისის და აჭარის განვითარებას, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ეს პროექტი ყველა კუთხით მნიშვნელოვანია“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძეც.

„ეს მრავალმილიარდიანი ინვესტიცია ითვალისწინებს ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის, ტექნოლოგიების შექმნასა და ჩვენს რეგიონში ახალი ბრენდების შემოყვანას. ამ ინვესტიციებით კიდევ უფრო დიდი სტიმული მიეცემა როგორც კერძო სექტორს, ასევე, კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება საქართველოს ეკონომიკა, შეიქმნება ათასობით ახალი სამუშაო ადგილი და დარწმუნებული ვარ, რომ ამ უმსხვილესი ჯგუფის შემოსვლით საქართველოში ჩვენი დეველოპერები, უძრავ ქონებაში დასაქმებული ბიზნესმენები კიდევ უფრო მეტ სარგებელს მიიღებენ“, - განაცხადა თორნიკე რიყვაძემ.

აღნიშნული ინვესტიცია ჩვენი ქვეყნის ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის მართლაც მნიშვნელოვანია.

უბილეთო მგზავრობაზე მონიტორინგი ხორციელდება

ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის ინფორმაციით, უბილეთო მგზავრობაზე მონიტორინგი ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება.

მგზავრთა ნაკადების ზედამხედველობის განყოფილება შემოწმებას 11 სხვადასხვა ლოკაციაზე მთელი დღის განმავლობაში ერთდროულად აწარმოებს.

მგზავრი ვალდებულია, საფასური ტრანსპორტში ასვლისთანავე გადაიხადოს.

„საორსა“ – ადამიანების მხარდასაჭერად

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი სტუმარია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია „საორსას“ დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი ***ლია შუტკარაძე.*** *იგი ორგანიზაციის მიზნებზე, ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე განხორციელებულ კარიერული და პროფესიული განვითარების საგანმანმანთლებლო და საკონსულტაციო სერვისებსა და პროექტებზე საუბრობს.*

- ქალბატონო ლია, რამდენი ხანია, რაც ორგანიზაცია „საორსა“ არსებობს და ამ ხნის განმავლობაში რა აქტივობები განახორციელეთ?

- „საორსა“ ძველი შოტლანდიური ტერმინია და თავისუფლებას, თავისუფალ არჩევანს ნიშნავს. ორგანიზაცია 2018 წლის 15 მარტს დაფუძნდა და უკვე 18 პროექტი განვახორციელეთ. აქ, ასევე, ვახორციელებთ მოკლევადიან სასერტიფიკაციო ტრენინგებს. ჩვენი სტრატეგიული ხედვა კარიერულ თავისუფლებასა და გენდერული თანასწორობის პრინციპებს ეფუძნება. „საორსამ“ ათასობით ადამიანის გაძლიერება შეძლო და დღემდე აგრძელებს მათ მხარდაჭერას. „საორსა“ გახლავთ პირველი ორგანიზაცია, რომელმაც 2021 წლის 23 მარტს პოლონეთის ქალაქ კიელცეში „საორსას“ ასოციაცია დაიფუძნა. წელს უკვე ორი პროექტის განხორციელება დაიწყო. ჩვენ გვჯერა ყველა ადამიანის შესაძლებლობების, გაძლიერების და ტრანსფორმაციული ცვლილებების. ჩვენი პროექტებით ვიძლევით ღირებულ განათლებას და ურთიერთობებს როგორც ქალაქში, ისე სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის. აქტიურად ვმონაწილეობთ საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნა-განვითარებაში. ჩვენი მისია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერებაა, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისა და ქალებისთვის, არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდით და დასაქმების პოლიტიკის ხელშეწყობით. ყველას აქვს უფლება, იყოს ბედნიერი, ჰქონდეს პროფესიის არჩევის, დასაქმებისა და ღირსეული შრომის შესაძლებლობა და თავისუფლება. ჩვენი მიზანია ადამიანების პროფესიული და კარიერული განვითარების ხელშეწყობა; ძლიერი პროფესიული ქსელის შექმნა სახელმწიფოს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დამსაქმებლებსა და სამუშაოს მაძიებელთა შორის; ღირსეული შრომის პირობების დანერგვის ხელშეწყობა; სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციისა და შევიწროებისგან თავისუფალი გარემოს შექმნაში მხარდაჭერა; სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში ახალგაზრდებისა და ქალების მონაწილეობის წახალისება და ჩართულობის გაძლიერება; პარტნიორობაზე დაფუძნებული ადვოკატირებისა და საქველმოქმედო კამპანიის განხორციელება.

- ძირითადად რომელ პროექტს გამოარჩევთ?

- ჩვენი ყველა პროექტი საავტორო გახლავთ, შესაბამისად, თანაბრად ღირებული და მნიშვნელოვანია. თითოეული გვიყვარს, რადგან ადამიანების კეთილდღეობაზეა ორიენტირებული.

- როგორც ვიცით, „საორსა“ აჭარის რეგიონში თავისი საავტორო პროგრამის განხორციელებას იწყებს. როდის დაიბადა ეს იდეა და მისი ძირითადი არსი...

- პროექტი „ახალგაზრდების საარსებო საშუალებები: შექმენი და დასაქმდი“ პირველად 2018 წელს, ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განვახორციელეთ. იდეა მას შემდეგ დაიბადა, რაც გავიგეთ, რომ ქვეყანაში ახალგაზრდების დასაქმება არის გამოწვევა. იყო დიდი დისბალანსი სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, ასევე, განათლების დაბალი დონე, ეკონომიკური უფლებების შელახვა, ახალგაზრდების გაზრდილი მოთხოვნა სასურველ დასაქმებასა და კარიერულ წინსვლაზე. გარდა სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევებისა, ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი გახდა პიროვნულ ზრდა-განვითარებაზე მუშაობა. ძალიან გვიხარია, რომ საქართველოში, ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, კვლავ შესაძლებელი ხდება ახალგაზრდებზე ზრუნვა. პროექტი მიზნად ისახავს პროფორიენტაციის, კარიერული განვითარების სისტემის განვითარებას და ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობას აჭარის რეგიონში. მის ფარგლებში, კონკურსის საფუძველზე შერჩეული აჭარის რეგიონში მცხოვრები 18-29 წლამდე ასაკის 25 ახალგაზრდა სასწავლო პროგრამას გაივლის, რომელიც სამი ძირითადი მოდულისაგან შედგება: კარიერული განვითარება, დასაქმების უნარები, ფინანსური წიგნიერება და მეწარმეობა. პროექტში ჩართული ახალგაზრდები ინდივიდუალურად მიიღებენ კარიერულ კონსულტაციებს დასაქმების შესაძლებლობების და პროფესიული ინტერესების კარიერულ შესაძლებლობებთან თანხვედრაში მოსაყვანად. პროექტი, ასევე, ითვალისწინებს მეწარმეობის კვირეულის ჩატარებას, რომლის ფარგლებში ახალგაზრდები მოინახულებენ აჭარაში მოქმედ საწარმოებს, რაც ხელს შეუწყობს მეწარმეობის პოპულარიზაციას, ბიზნესის დაწყების სტიმულირებას და დასაქმების ალტერნატიულ შესაძლებლობას. წარმატებული მონაწილეები გაივლიან ანაზღაურებად სტაჟირებას შესაბამის ორგანიზაციებში ერთიდან სამი თვის განმავლობაში. პროექტი შეფასდება და შეჯამდება დასაქმების ფორუმზე, რაც იქნება დასაბამი, შემუშავდეს რეალური რეკომენდაციები როგორც დასაქმების პროცესში პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მნიშვნელობაზე, ასევე, შრომის ბაზრის განვითარებაში მონაწილე აქტორების ჩართულობის ზრდაზე. ფორუმის ფარგლებში ჩატარდება სიმულაცია „გასაუბრება დამსაქმებელთან“.

- როგორც აღნიშნეთ, პროგრამა სამი ძირითადი მოდულისაგან შედგება...

- ტრენინგი 60 საათისგან შედგება, რომელიც მოიცავს სამ მოდულს: პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება, დასაქმების უნარები, ფინანსური წიგნიერება და მეწარმეობის უნარები. სასწავლო პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდები მიიღებენ ახალ ცოდნას, შეიძენენ დასაქმების უნარ-ჩვევებს და განავითარებენ პიროვნულ და პროფესიულ ფასეულობებს, რაც შემდეგში უზრუნველყოფს მათი დასაქმების შესაძლებლობისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დონის ამაღლებას. სასწავლო პროცესი მოიცავს გუნდურ მუშაობას, ინდივიდუალურ დავალებებს, პრაქტიკულ სავარჯიშოებს და პროფესიული ტესტების შევსებას. ტრენინგებს სრულად „საორსას“ გუნდი გაუძღვება. მის ფარგლებში განხორციელდება სიმულაციური თამაშები და დამსაქმებლებთან გასაუბრების სიმულაციები. ტრენინგ-მოდულის მოსალოდნელი შედეგია ახალი ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით აღჭურვილი ახალგაზრდები, რომლებიც მზად არიან სტაჟირების პროგრამებისთვის. სწავლება ონლაინფორმატში იქნება და ნებისმიერ მსურველს, განსაკუთრებით კი მაღალმთიან აჭარაში მცხოვრებ ახალგაზრდებს შეუძლიათ პროექტში აქტიურად ჩართვა.

- რა როლს ასრულებს კარიერული განვითარება ძლიერი ლიდერის ფორმირებაში და რა გამოწვევებები არსებობს ამ მხრივ?

იხ. მე-9 გვ.

„ვერავინ იცხოვრებს მშვიდად, სანამ მზია ამაღლობელი ციხეშია“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის პროკურატურასთან საპროტესტო აქცია გაიმართა. მოქალაქეები მოითხოვენ, მზია ამაღლობელს, რომელიც 16 დღეა, შიმშილობს, შეეცვალოს აღკვეთის ღონისძიება და გათავისუფლდეს პატიმრობიდან. აქციის მონაწილეების განცხადებით, მზია ამაღლობელის პატიმრობაში ყოფნა ნათლად აჩვენებს, რა მდგომარეობაა მედიის თავისუფლების კუთხით საქართველოში, ასევე იმას, თუ როგორ ექცევა ქართული ხელისუფლება კრიტიკულ მედიას.

- პროკურატურისგან მოვითხოვთ, უპირობოდ გათავისუფლდეს მზია ამაღლობელი, რადგან მისი ქმედება ამ ქვეყანაში მოქმედი იურიდიული, სამართლებრივი არცერთი ნორმით არ არის სისხლის სამართლის დანაშაული. პროკურატურამ უნდა შეცვალოს საქმის კვალიფიკაცია და შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა. არ შეიძლება მზია ამაღლობელი იჯდეს ციხეში. დასაბუთებულად, სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე ვითხოვთ მის გათავისუფლებას. დღეს საქართველოში ვერ იპოვით ადამიანს, რომელიც სილის გარტყმაზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით იხდიდეს სასჯელს. მზია ამაღლობელი დღეს იმიტომ ზის ციხეში, რომ ის არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედიაპლატფორმების შემქმნელი. მინდა ყველა პლატფორმა გამოვიყენო გზავნილისთვის - ვერავინ იცხოვრებს მშვიდად, სანამ მზია ამაღლობელი ციხეშია, რადგან ეს უსამართლობაა. უსამართლობის შემქმნელები, დამკანონებლები და გამზიარებლები მშვიდად ვერ იქნებიან. პენიტენციალურმა სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მზია ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა, თქვეს, ასევე, რომ მასზე ვიდეომონიტორინგი ხორციელდება, რაც მეუცნაურა, თუმცა სანამ მზიას ადვოკატი არ შევა, არ გამოვა და არ იტყვის მისი მდგომარეობის შესახებ, ვერაფერს ვიტყვი იმის გარდა, რომ 16 დღე შიმშილობის შემდეგ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რამდენად მხნედ და ყოჩაღად შეიძლება იყოს ადამიანი?! ჩვენ, ასევე, ვითხოვთ, შეუჩერდეს დგებუაძეს უფლებამოსილება და სასწრაფოდ ცნონ მზია ამაღლობელი დაზარალებულად, - გვითხრა „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტმა მანანა ქველიაშვილმა.

გაზეთ „აჭარასთან“ საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა Factcheck-ის რეგიონულმა ანალიტიკოსმა, ჟურნალისტმა ნაზიბროლა რეხვიაშვილმა. მისი თქმით, ხელისუფლება ცდილობს, ადამიანების მოთმინება გამოსცადოს, მაგრამ ქართველი არაფრით დათმობს თავისუფლებას და ისევ მას მოუწევს უკან დახევა.

- ჩემი აზრით, ეგრეთ წოდებული ხელისუფლება ფიქრობს, რომ სადღაც ჩვენ უნდა გავტყდეთ, სადღაც უნდა გაგვიწყდეს მოთმინება და ნებისყოფა, რადგან 16 დღე შიმშილობისთვის დიდი პერიოდია, თან, როგორც გავიგეთ, ქრონიკული დაავადებები აქვს მზიას, შიმშილობამ კი შეიძლება შეუქცევადი პროცესები გამოიწვიოს მისი ჯანმრთელობისთვის. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ქალი ჟურნალისტი არასდროს ჩაუსვამთ ციხეში, ეს იყო პირველი შემთხვევა, თორემ კომუნისტების დროს, ხშირად ვიმეორებ ამას, გვაქვს ნაზი შამანაურის შემთხვევა. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში მზია ამაღლობელს რომ გისოსებს მიღმა ვხედავთ, ეს რუსულ სცენარად მიმაჩნია, სადაც ხელისუფლება წავიდა ყველაფერზე. ვიცით, რა მდგომარეობაც არის რუსეთში, არცერთი დამოუკიდებელი მედია და არასამთავრობო ორგანიზაცია აღარ არსებობს, თეთრი ფურცლის გამოც კი შეუძლიათ, დააკავონ ადამიანი. ხელისუფლებას მისივე სიჯიუტე ძალიან ცუდად შემოუბრუნდება. გამორიცხულია, ამ მდგომარეობამ ისინი არ მიიყვანოს უკან დახევის წერტილამდე. პროტესტი მოედო ყველაფერს, ტექნოლოგიებშიც შეაღწია. ყოველდღე ახალი კრეატიული იდეა უჩნდება საზოგადოებას. მათ გონიერი არავინ დარჩათ თავიანთ შემადგენლობაში, აქეთ მხარეს კი ამოუწურავი ინტელექტუალური მარაგია, როგორ უნდა აჯობონ? რაც ამ ხელისუფლებას დარჩა, მხოლოდ ფიზიკური ძალაა, რომელსაც იყენებენ კიდეც ჩვენ წინააღმდეგ და სწორედ ამას გადაჭყვებიან, - განაცხადა ნაზიბროლა რეხვიაშვილმა.

მზია ამაღლობელის გათავისუფლებას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ ითხოვენ მოქალაქეები და აცხადებენ, რომ მისი ციხეში ყოფნა პირდაპირი თავდასხმაა თავისუფალ სიტყვაზე.

- გვინდა, კიდევ ერთხელ მკაფიო მესიჯი გავუგზავნოთ საზოგადოებას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე დღეს მზია ამაღლობელის გათავისუფლების მოთხოვნაა. სისტემატურად, პერმანენტულად უნდა დავაფიქსიროთ ეს პროტესტი და მოთხოვნა - თავისუფლება - მზიას, თავისუფლება - პოლიტპატიმრებს! კონკრეტულად დღეს ვითხოვთ, მზია ამაღლობელის ჯანმრთელობის შესახებ ყოველდღიურად გასაჯაროვდეს ინფორმაცია, სათანადო ყურადღება მიექცეს მის ჯანმრთელობას, - გვითხრა ბათუმის დემოკრატიის სკოლის კოორდინატორმა თამარ მამეიშვილმა.

შეგახსენებთ: *„ნეტგაზეთისა“ და „ბათუმელების“ დამფუძნებელი და დირექტორი მზია ამაღლობელი დაკავების დღიდან პროტესტის ნიშნად შიმშილობს. 14 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლომ ჟურნალისტს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.*

„მოსწავლეები უნდა გავათავისუფლოთ დაზეპირებისა და ტრაფარეტული აზროვნებისგან“

დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა ამირან მამალაძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარათაულის საჯარო სკოლის დირექტორს ***დავით ქათამაძეს.*** *ქართული ენა-ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებელმა საინტერესო და შინაარსიანი გზა განვლო, რაზეც ინტერვიუში საუბრობს.*

- ბატონო დავით, საზოგადოებას ახსოვს ის დღე, როცა ქათამაძეების გვარის წარმომადგენლები სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დალოცა. თქვენი გვარის ისტორიაზე რას გვეტყვით?

- ისტორიულად ქათამაძეები აჭარაში, გურიასა და იმერეთში ცხოვრობდნენ. იმერეთში აჭარიდან მიგრაციის შემდეგ დასახლდნენ, რაც ოსმალთა ძალადობამ გამოიწვია. დღეისათვის საქართველოში სულ 7592 პირი ატარებს ქათამაძეების გვარს, მათ შორის, აჭარაში - 2132, ტყიბულსა და მის სოფლებში - 863, ზესტაფონში - 725. ქათამაძეები სახლობენ ქუთაისსა და თბილისშიც. აჭარაში ქათამაძეების წინაპარი ხინოდანაა ჩამოსახლებული შუახევის რაიონში. აქაური ქათამაძეები წარმატებით საქმიანობენ სახელმწიფო მმართველობის, განათლების, კულტურის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში.

- მარტო საგანმანათლებლო სფერო იყო თქვენი საქმიანობის ასპარეზი თუ?..

- უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე მასწავლებლად, ვმუშაობდი კომკავშირულ, პარტიულ და საჯარო სამსახურებში. 21 წლის განმავლობაში ვიყავი ბარათაულის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, პარალელურად ვეწეოდი პედაგოგიურ საქმიანობას. სოფლის საკრებულოების ლიკვიდაციის შემდეგ დავუბრუნდი პროფესიულ საქმიანობას. 2010-2012 წლებში დაბა შუახევის საჯარო სკოლის დირექტორად ვიმუშავე. შემდეგ წარმატებით ჩავაბარე საჯარო სკოლის მასწავლებლისა და სკოლის დირექტორობის უფლების მოსაპოვებელი სასერტიფიკაციო გამოცდები და მუშაობა გავაგრძელე ამირან მამალაძის სახელობის შუახევის სოფელ ბარათაულის საჯარო სკოლის დირექტორად და ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად. ხანგრძლივი პედაგოგიური საქმიანობის განმავლობაში თაობები აღვზარდე. ვფიქრობ, მოკრძალებული წვლილი მეც შევიტანე ქვეყნის წინსვლა-განვითარებაში.

- 7 წლის განმავლობაში შუახევის რაიონს ხელმძღვანელობდა მურმან ჭაღალიძე. მისი დაბადებიდან 85 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ წიგნში თქვენი მოგონებაცაა შეტანილი. კიდევ ვინ დაგამახსოვრათ თავი?

- ნოდარ ცეცხლაძე, შოთა მაკარაძე, ანზორ გოგიტიძე, ალექსანდრე ჯიბლაძე, იოსებ ხიმშიაშვილი, ვლადიმერ მამულაძე, ტარიელ ნიუარაძე, იური ტაკიძე, ოთარ დუმბაძე, მიხეილ ზოსიძე, რაუდენ ფუტკარაძე - ეს ის ადამიანები არიან, ვისთან ერთადაც გავატარე ათეული წელი საჯარო სამსახურში. ჩვენმა გუნდმა იმ დროისათვის ბევრი კარგი საქმე გააკეთა, ზოგი საკუთარი ინიციატივით, ზოგი ენთუზიაზმით, უფრო მეტი - ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერითა და თანადგომით. ჩვენი ურთიერთობა იყო საქმიანი, პრინციპული, ვიყავით მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, საქმე ბევრი იყო, ზოგჯერ დაძაბული მუშაობა გვიწევდა, თუმცა ყველაფერს ვასწრებდით. ბევრი ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, ნათელი მათ ხსოვნას. პატივისცემას გამოვხატავ შუახევის ამჟამინდელი ხელმძღვანელების - ომარ ტაკიძის, როსტომ ლორთქიფანიძისა და მათი გუნდის მიმართ. წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ.

- დღეს ქვეყანაში არასასურველი ვითარებაა. როგორ შეაფასებთ მიმდინარე მოვლენებს?

- ჩვენ გამოვიარეთ ჯოჯოხეთური 90-იანი წლები, მოძმეთა ომი, შუღლი, ბრძოლა სავარძლებისათვის, ეთნიკური დაპირისპირება, ეკონომიკური სიდუხჭირე, გაყინული პენსიები, კუპონები, თითქმის უხელფასობა, მიუხედავად ამისა, გადავარჩინეთ სოფელი, ვაცოცხლეთ იგი. გვიყვარდა, პატივს ვცემდით, ვაფასებდით ერთმანეთს. ასე შევინარჩუნეთ მამისეული კერა, სკოლა, მასწავლებლები. საბჭოთა იმპერიის რღვევამ უდიდესი ზიანი მიაყენა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს და საქართველოსაც, რადიკალურად გადაფასდა ღირებულებები, შეიცვალა სახელმწიფოს ბაზისი და ზედნაშენი, საკუთრების ფორმები, რამაც საგრძნობლად შეაფერხა ქვეყნის წინსვლა. ეს პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება და მოკლე დროში ვერც დასრულდება. ის, რაც 70 წლის განმავლობაში მტკიცედ ინერგებოდა ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადამიანთა აზროვნებაში, ადვილად არ აღმოიფხვრება. ამდვრეული წყალი ნელ-ნელა იწმინდება და იმედია, საბოლოოდ მიაგნებს სწორ გზას, ჩადგება თავის კალაპოტში. არსებული სიტუაციაც განიმუხტება. კარგია, რომ მთავრობა ზრუნავს სოფლის შენარჩუნება-განვითარებისათვის, უმჯობესდება ინფრასტრუქტურა, ვრცელდება შეღავათები სოფლის მოსახლეობისათვის, ყურადღების ცენტრშია განათლება, მედიცინა, კულტურა. ვფიქრობ, ამის პარალელურად, აუცილებელია აღორძინდეს სოფლის მეურნეობა, აღდგეს ტრადიციული მესაქონლეობა, მომთაბარეობა, მეთამბაქოეობა, მეხილეობა, გამოინახოს მათი მიღება-გადამუშავების, გასაღების გზები, მოწესრიგდეს მარკეტინგი.

- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ სასწავლო სახელმძღვანელოებიდან რიგი ქართველი მწერლების ნაწარმოებები ამოიღო...

- ეროვნული სასწავლო გეგმა თანდათან უფრო მობილური ხდება, მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა, გამოვიდეს შაბლონიდან და თავისი შეხედულებით გადაანაწილოს პროგრამული მასალა, ოსტატურად მოარგოს ის კლასის, მოსწავლის საჭიროებებს. მასწავლებელს ენიჭება მეტი დამოუკიდებლობა მოსწავლესთან მისასვლელი გზების მისაგნებად. მასწავლებელს სრული უფლება ეძლევა, სავალდებულო ლიტერატურის პარალელურად ასწავლოს არაპროგრამული მასალაც, მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი უფლებამოსილია, თუ საჭიროდ ჩათვლის, მე-10, მე-11, მე-12 კლასებში მოიშველიოს შექსპირის 66-ე სონეტი, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“, დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“, ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებები, სადაც ვაუკაცობის, გმირობის, მეგობრობის, რაინდობის, პატიების, თავგანწირვის არაერთი მაგალითია მოყვანილი. ასე რომ, ქართულის მასწავლებლებისთვის არავის აუკრძალავს, მოსწავლეებს ასწავლოს ჰუმანიზმი, სიკეთე, სიყვარული, მეგობრობა, შრომისმოყვარეობა, ქალისადმი პატივისცემა. საამისოდ კი საჭიროა თანამედროვე მიდგომები, ტექნოლოგიების გამოყენება, საღი აზროვნება, ისე, რომ არც წარსული დავივიწყოთ. განახლებულ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ნათლადაა ნათქვამი, რომ უნდა გავათავისუფლოთ მოსწავლეები ყოველგვარი დაზეპირებისა და ტრაფარეტული აზროვნებისგან. პროგრამული მასალა არის მხოლოდ ორიენტირი. იგი უნდა შევავსოთ და გავამდიდროთ დამხმარე ლიტერატურით, რომელიც სხვადასხვა სკოლასა და სხვადასხვა კლასს შეიძლება განსხვავებული ჰქონდეს.

- წარმატებული სკოლის წარმატებულ ხელმძღვანელად გიცნობენ...

- პირველ რიგში, ვიტყვი, რომ ჩვენი სკოლა, პედაგოგიური კოლექტივი, მშობლები, სოფელი, ყოველთვის ღირსეულად იდგნენ ქვეყნის სამსახურში. თავს იმის უფლებას ვერ მივცემდი, რომ ტრადიცია დამერღვია. იმასაც ვიტყვი, რომ არც სხვის ჩრდილში ყოფნით მიცხოვრია არასდროს; დირექტორად არჩევისთანავე, სკოლის სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით, შევადგინე სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა და აქტიურად შევუდექით მის განხორციელებას. ჩემი მუშაობის პერიოდში შემოიღობა სკოლის ეზო და დაიგო ბეტონის საფარი, შემოვიყვანეთ წყალი, მოეწყო სველი წერტილები შენობის შიგნით, აშენდა ცენტრაძეების დაწყებითი სკოლის ახალი შენობა, გაუმჯობესდა მიერთებული სკოლების ინფრასტრუქტურა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაგეგმარებით, მიმდინარეობს სკოლის შენობის სრული რეაბილიტაცია, თუმცა მარტო კეთილმოწყობილი სკოლა არ არის საკმარისი ეფექტური სწავლებისთვის. მთავარია, კვალიფიციური კადრების მოზიდვა, მათი დაინტერესება, გადამზადება და სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვა. სკოლის 22 მასწავლებლიდან 16 უფროსი მასწავლებელი და 3 წამყვანის სტატუსის მქონეა. მასწავლებლები გადამზადდნენ ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში, იქ შესწავლილ სტრატეგიებსა და უნარ-ჩვევებს წარმატებით იყენებენ გაკვეთილებზე. სკოლა ჩართულია საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტ Etvining-ში. მოწინავე პედაგოგთა ჯგუფი და მოსწავლეები პერიოდულად წარადგენენ მოხსენებებსა და პრეზენტაციებს, რომლებსაც სხვები იზიარებენ და განიხილავენ. სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას ქვეყნის უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში.

- პუბლიცისტური სტატიების ავტორადაც გიცნობენ...

- როცა სკოლაში დავიწყე მუშაობა, პარალელურად, ადგილობრივ პრესაში სისტემატურად ვაქვეყნებდი კორესპონდენციებს, ვიყავი გაზეთ „დროშის“ შტატგარეშე კორესპონდენტი, ვთანამშრომლობდი სხვა გაზეთებთანაც. რაიონული გაზეთის მაშინდელმა რედაქტორმა, ბატონმა მიხეილ ზოსიძემ გაზეთის შტატიანი თანამშრომლობაც შემომთავაზა, მაგრამ მაშინ საჯარო სამსახურში წავედი და ბევრი დრო აღარ მრჩებოდა შემოქმედებითი საქმიანობისათვის, თუმცა დროდადრო ვაკეთებდი ჩანაწერებს ჩემთვის საინტერესო თემებზე, რომელთა თავმოყრასა და დაბეჭდვას, იმედია, შევძლებ.

- როგორც სკოლის დირექტორი, რას აკეთებთ ოჯახური ღირებულებების დასაცავად?

- ოჯახის ინსტიტუტი სახელმწიფოს ქვაკუთხედია. ძლიერი ოჯახი ძლიერი ქვეყანაა. ნათქვამია: „ნამდვილი ოჯახი ის არის, სადაც ცოლი ქმრისკენ იყურება, ქმარი - ცოლისკენ, შვილები - მშობლებისაკენ, ხოლო მშობლები - ღმერთისკენ". ყველა ქართველს გულის ფიცარზე უნდა ეწეროს დიდ კლასიკოს ალექსანდრე ყაზბეგის სიტყვები: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“. სკოლის დირექცია, კლასის დამრიგებლები, პედაგოგები ვთანამშრომლობთ მოსწავლეთა მშობლებთან, აღრიცხული გვაქვს ოჯახები, რომლებიც განსაკუთრებულ მზრუნველობასა და დახმარებას საჭიროებენ; სკოლაში ვატარებთ ღონისძიებებს, რითაც წახალისებულია ოჯახის ერთიანობა, მშობლებისადმი პატივისცემა, დედაშვილური, დაძმური სითბო და სიყვარული.

- სოფელზე რას გვეტყვით?

- ცხოვრებაში ბევრჯერ მომეცა შესაძლებლობა, მეცხოვრა ბარში, თუმცა ყოველთვის რაღაც ქვეცნობიერი მეწეოდა უკან, ადგილის დედა ანდამატივით მიზიდავდა. მიყვარს ჩემი სოფელი, აქაური ბუნება, ხალხი, ტრადიციები. ქალაქში ყოველთვის სტუმრად ვთვლი თავს და მომეჩქარება მშობლიურ სოფელში, აქ უფრო ლაღად ვარ. ასე იყვნენ და არიან ჩემი მეგობრებიც. გულდასაწყვეტია, რომ სოფელი ცარიელდება, უმრავლესობა ქალაქში ეძებს კეთილდღეობას, კომფორტს, დალხენილ ცხოვრებას. ზოგი კიდევ ემიგრაციაშია და შეიძლება აღარც დაბრუნდეს. უნდა გავაანალიზოთ, რომ „მთა-ბარი“ ერთად მოიაზრება, არც მთა შეიძლება არსებობდეს ბარის გარეშე და არც ბარი - მთის გარეშე. მინდა საქართველოს ვუსურვო მშვიდობა, რომლის ფასიც კარგად იცის ჩვენმა სოფელმა... 2008 წლის აგვისტოს ომს შეეწირა ჩვენი სოფლის შვილი ამირან მამალაძე. სოფელი ქედს იხრის გმირის წინაშე... მინდა, მომავალ თაობას ისეთი საქართველო დავახვედროთ, სადაც საჭირო აღარ იქნება იარაღის ხელში აღება.

> ***„მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა, გამოვიდეს შაბლონიდან და თავისი შეხედულებით გადაანაწილოს პროგრამული მასალა, ოსტატურად მოარგოს ის კლასის, მოსწავლის საჭიროებებს. მასწავლებელს ენიჭება მეტი დამოუკიდებლობა მოსწავლესთან მისასვლელი გზების მისაგნებად. მასწავლებელს სრული უფლება ეძლევა, სავალდებულო ლიტერატურის პარალელურად ასწავლოს არაპროგრამული მასალაც...“***

კონკურსი გამოცხადდა

დიდი დრო არაა გასული იმ დროიდან, რაც ხულოს რაიონის სოფელ დანისპარაულში სკოლის კაპიტალური შენობა აიგო. მშენებლობის დასრულებიდან ორი წელიც არ იყო გასული და კედლებს ბზარები გაუჩნდა. სასწავლო პროცესის წარმართვა სახიფათო გახდა. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ შენობის დაშლაც სახიფათო გახდა, ისევ მეწყერმა ჩააქცია

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის წლებში დანისპარაულში სკოლის ახალი შენობა ააგეს. ნაჩქარევად გაკეთებული ხის ნაგებობა დანიშნულებას მინიმუმამდეც ვერ აკმაყოფილებს. აჭარის მთიანეთში ბევრი სოფელი ცარიელდება, მაგრამ დანისპარაულმა სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ამოქმედების შემდეგ, მეტი დატვირთვა შეიძინა. ამან მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდაც განაპირობა. ასეთ ვითარებაში სოფელს თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სკოლის შენობა ესაჭიროება, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა და სოფელში სკოლის ახალი შენობის აგება მიზანშეწონილად ჩათვალა.

უკვე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი. დანისპარაულის საჯარო სკოლის ახალი შენობა ორსართულიანი, 120 მოსწავლეზე გათვლილი იქნება. აქ განთავსდება 12 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, სამასწავლებლო და სხვა ადმინისტრაციული კაბინეტები.

სკოლა იქნება სრულად ადაპტირებული, მოეწყობა პანდუსები, ლიფტი და სველი წერტილები. პროექტის ღირებულება 4 520 825 ლარია.

იმის გათვალისწინებით, რომ დანისპარაულში მეწყრული პროცესები ისევ აქტიურია. ტენდერის გამოცხადებამდე განხორციელდა ტერიტორიის ხელახალი გეოლოგიური შესწავლა. რელიეფიდან გამომდინარე, გაკეთდება საყრდენი კედლები, ტერიტორიაზე მოეწყობა ღია სპორტული მოედანი. სკოლა სრულად აღიჭურვება საჭირო ინვენტარით.

- დანიპარაულელები ნამდვილად იმსახურებენ, თანამედროვე სტანდარტების შესაფერის სკოლის შენობას. ჩვენი მხრიდან თანადგომა არ მოაკლდებათ, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ჯამბულატ მელაძემ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ვარსკვლავგოგონა – გაცხადებული ზღაპრიდან

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ვინ ვარ მე? - საკუთარი თავის შეცნობის ეს მძაფრი სურვილი და მასზე პასუხი წარმოაჩენს პიროვნების ნამდვილ სახეს. ამ კითხვას ახალგაზრდა შემოქმედი ***მარიამ ბუკია*** *სვამს და მისი პასუხი - მე ვარ ძიებად და ფიქრად ქცეული უსასრულო ჰორიზონტი, ჩვენს ყურადღებას იპყრობს. თუ თქვენც დაგაინტერესებთ, უფრო ვრცელ პასუხს მარიამის ამ ინტერვიუში იპოვით. მაშ ასე, ახლა მარიამთან ერთად ვიმოგზაუროთ მის უნატიფეს, მიმზიდველ, გონიერებითა და ნიჭიერებით აღბეჭდილ სამყაროში.*

- მარიამ, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, თითქმის სიმბოლური სახელი გქვიათ...

- მარიამი, ბიბლიური სიმბოლიკის მიღმა, სხვადასხვა კულტურასა და ეპოქაში სიყვარულის, თავდადებისა და მარადიულობის აღმნიშვნელი ის სახელია, რომლის ღირებულებითი ზანდუხჩაც სავსეა საუკუნეების სიღრმიდან უხვად ნაგროვები სიწმინდის, სინათლისა და სულიერი სიდიადის განცდით. როცა სმენის მოლუსკს მისი ბაკმიანი ხმოვანება მივსებს, თავს ვგრძნობ ამ ტრადიციის ნაწილად და სრული სისავსით განვიცდი იმ პასუხისმგებლობას, რაც მას თან ახლავს. ჩემი სახელი გზავნილია, შეხსენებაა იმ ზნეობრივი ღირებულებებისა და სულიერი საზრისის, რაც მას უკავშირდება. მარიამი ჩემთვის სიმბოლო და უწყვეტი შეხსენებაა გონების ნაოჭებში ღრმად ჩამჯდარი და მოქმედებებისთვის ნასაფუძვლევი ფიქრის, რომ საქმითა და სიტყვით უნდა შევქმნა ის სინათლე, რომელიც ამ სახელის ღირსეულად ტარებას განაპირობებს.

- როგორ წარუდგენთ მკითხველს საკუთარ პერსონას?

- ამ წუთს, მკითხველისთვის, მე ვარ მარიამ ბუკია - საერთაშორისო ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი და ბლოგის მწერალი. შრომისმოყვარეობით, უწყვეტი პროგრესით, ვფიქრობ, შევქმენი შესანიშნავი თავფურცელი ჩემი პროფესიულ-საგანმანათლებლო მოგზაურობისთვის. ვარ შვიდამდე საგანმანათლებლო ორგანიზაციის წევრი, მენეჯერი, პროექტის მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ახალგაზრდა მასწავლებელი, სპიკერი, წიგნის კლუბის ხელმძღვანელი, სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბის მოხალისე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრი, მრავალი კონკურსის გამარჯვებული. მარიამი - ვფიცავ, ეს გოგონა დაიბადა შემოდგომით თმაში, ვარსკვლავებით სულში და კალმით ხელში.

- ძალიან ახალგაზრდა ხართ და საერთაშორისო სარბიელზე უკვე წარმატებული. როგორც რედაქტორსა და ბლოგერს, ცხადია, სათქმელიც გექნებათ მკითხველისათვის. რას და როგორ საქმიანობთ, რას გძენთ როგორც მწერალს, სხვა ქვეყნების ლიტერატორებთან ურთიერთობა?

- ჩემი შემოქმედების გაცნობის შემდეგ, საერთაშორისო ლიტერატურული ჟურნალის გუნდმა რედაქტორის პოზიცია შემომთავაზა. უკვე ორი წელია, წარმატებით ვსაქმიანობ. ამ სტატუსს თან დაერთო ბლოგის მწერლის პოზიცია ორ სხვადასხვა ჟურნალში. ჩემი საქმიანობა მოიცავს ტექსტების - პოეზიისა და პროზის - დეტალურ განხილვას, სიღრმისეულ ანალიზს და არგუმენტირებული შეფასებების მომზადებას. ამასთან, ვზრუნავ ნამუშევრების თემატური და სტილისტური შესაბამისობის განსაზღვრაზე ჟურნალის ხასიათთან, შინაარსის - აუდიტორიის მოლოდინებთან. ვხელმძღვანელობ ტექნიკური და შემოქმედებითი პროცესების მართვას ჟურნალის თითოეული ნომრის სრულყოფისთვის. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, გავეცნო ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებას და მივაწოდო მათ ჩემი აზრი და რჩევები. მნიშვნელოვანი, ღირებული გამოცდილებაა სხვადასხვა ქვეყნის შესანიშნავი ახალგაზრდებისგან დაკომპლექტებულ გუნდთან მუშაობა. ბედნიერი ვარ, რომ ლიტერატურის მოყვარულთა ამ ოჯახის ნაწილი ვარ. ჟურნალი ემსახურება პროგრესული, რჩეული ახალგაზრდა ავტორების მხარდაჭერას მთელი მსოფლიოდან, მთავარი მიზანი კი სხვადასხვა კულტურისა და ეროვნების მწერლებისთვის მკითხველთან დაკავშირების შესაძლებლობის შექმნაა.

- როგორ მიიღო მკითხველმა „განთიადსა“ და „ჭოროხში“ დაბეჭდილი თქვენი ვერლიბრი? როგორი ურთიერთობა გაქვთ მკითხველებსა და კოლეგებთან? ვინ მიგაჩნიათ თქვენს ლიტერატურულ მასწავლებლად?

- ამბობენ, რომ ყველაზე დიდი ადამიანური მცდელობა შემოქმედებას უკავშირდება. მეც ამ მცდელობათა რიგში მეტ-ნაკლებად ჩაბმულს, მახარებს და სიამაყის გრძნობას მიჩენს ღირსსაცნობი მიღწევა - ჩემი ვერლიბრების დაბეჭდვა ლიტერატურულ ჟურნალებში „განთიადსა“ და „ჭოროხში“. სიტყვები უკმარია ბედნიერებისა და კმაყოფილების სინთეზით შექმნილი იმ გრძნობის აღსაწერად, რაც ყოველ ჯერზე მოაქვს ლიტერატურულ წარმატებას. მკითხველისგან დადებითი რეზონანსის, სიღრმისეული გააზრების, საზომმიუწვდომლად ძვირფასი შეფასების და კეთილგანწყობის მიღებაა ამ პროცესში უდიდესი, გაუხუნარი ჯილდო და ძლიერი იმპულსი, შემოქმედებითი გზის უწყვეტად განგრძობის. მკითხველებთან ურთიერთობა ჩემთვის დიალოგის განსაკუთრებული ფორმაა, კოლეგებთან კი მეგობრობის, გამოცდილების, ხედვისა და ფიქრების გაზიარების ბრწყინვალე შესაძლებლობა. რაც შეეხება ლიტერატურულ მასწავლებლებს, არ მყავს კონკრეტული, სახელით გასახსენებელი მენტორი, მაგრამ დიდ მასწავლებლებად მიმაჩნია ქართული და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები. მათი შემოქმედების კითხვამ მასწავლა, რომ მწერლობა არათუ პასუხების გაცემა, კითხვების დასმა და სამყაროს სიღრმისეული აღქმის ხელოვნებაა.

- „სამყარომ ჩემი ზღაპარი შექმნა“ - თქვენი ეს თამამი და თავისუფალი განაცხადი საინტერესოა...

- „სამყარომ ჩემი ზღაპარი შექმნა“ - ჩემი სულიერი მდგომარეობის, ბედნიერების, სრულფასოვნებისა და სისავსის აღიარებაა. არიან ადამიანები, მთელი ცხოვრების განმავლობაში რომ ოცნებობენ თავიანთი ზღაპრის შექმნაზე, იბრძვიან, ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობას უწევენ დაბრკოლებებს და აღწევენ მიზანს ან ვერასდროს აკეთებენ ამას. ჩემ შემთხვევაში, თითქოს ყველაფერი თავისთავადი, ბუნებრივი და დენადი იყო - ცხოვრება ისე დასწვდა ჩემს გულს, რომ უკვე ვგრძნობდი: ჩემი ზღაპარი შექმნილია ჩემთვის, აქვს საწყისი, სიღრმე და მუხტი. ათასი ხე ერთდროულად აშრიალდა და დამაქარა ბედნიერება, რაც კი სამყაროს ოდესმე უგროვებია და უნიჭებია სულიერისთვის. ეს არის შინაგანი სიუხვე, რომელიც ყოველდღიურობას აპირმზითებს. ვგრძნობ, რომ ყველაფერი, რაც ხელში მიჭირავს, ისევე ღირებულია, როგორც ის, რისკენაც მივილტვი. ეს კი მივიღე არა როგორც ბედი, არამედ როგორც პასუხისმგებლობა - ვიცხოვრო ამ ზღაპარში ისე, რომ ღირსეული ვიყო მისი გმირობისთვის. ...და მაინც, ეს ზღაპარი არ არის უბრალოდ „ბედნიერი ცხოვრების“ განცხადება. ეს არის შეგრძნება, რომ სიცოცხლის არსი არა მხოლოდ ბრძოლასა და მიღწევაშია, არამედ იმის გაცნობიერებაშიც, რომ რაც გაქვს, ეს უკვე ქმნის ზღაპარს. აღქმის ეს უნარი ჩემთვის სამყაროსგან უდიდესი საჩუქარია და ჩემგან - დაუსრულებელი მადლიერების ობიექტი. წმინდა თავთავებს ბედნიერების ბარაქიან კალოზე ვაბევრებ, კევრს ვაბერებ უბზეობისგან.

- თავს როგორ გრძნობთ დედამიწაზე? როგორ აღიქვამთ ადამიანებს და რით გამოირჩევიან თქვენთვის საყვარელი ადამიანები?

- დედამიწაზე თავს ვგრძნობ, როგორც მოგზაური, რომელმაც ეს მშვენიერი და დაუშრეტელი სამყარო დაკვირვებისთვის, შემეცნებისა და სიყვარულისთვის მიიღო. სწრაფია ჩემი ცხოვრების მატარებელი და გზად ბეგონიებს აყვავებს. ვაგონებს შორის ტკბილეულის დამტარებელივით მოძრაობს ბედნიერების და სიახლეების ის მაქსიმუმი, რომელიც სამყაროს შეუძლია შემოგთავაზოს; გალაქტიკა კი უხვად ბერტყავს ვარსკვლავებს კალთიდან ჩემთვის. სხვა ყველაფერი ისეთივე უმნიშვნელოა, როგორც ოკეანის მმართველისთვის - ზღვის კარჩხანა. საყვარელი ადამიანები - ჩემი ცხოვრების სკივი და მანგია. მათ უნიკალურობას ის ქმნის, რომ მათი ყოფნა არასდროს არის ხმაურიანი; ისინი ჩემს ცხოვრებას ავსებენ მშვიდი, მუდმივი სინათლით. მათი სიყვარული არაფერს ითხოვს, მაგრამ ყველაფერს მაძლევს - ბედნიერებას, ძალას და იმ გრძნობას, რომ ამ სამყაროში არასდროს ვარ მარტო. ისინი ჩემი სიმყუდროვის მიზეზი და ნდობის ადრესატები არიან, ჩემი ცხოვრების ყველაზე გულწრფელი და უწყვეტი ზღაპრის ნაწილი.

- სად გიყვართ განმარტოება და რაზე ოცნებობთ?

- განმარტოებას არ ვსახავ ცალკეულ რიტუალად. როცა შინაგან სამყაროში გარეგანი ქარები ვერ აღწევენ, სულნიადაგის ბალღები არ საჭიროებენ იზოლირებას. ოცნებები ხშირად ის გაბედული ნავებია, რომლებიც შორეულ ნაპირებს ესწრაფვიან. ვოცნებობ უწყვეტ შემოქმედებით ენთუზიაზმზე, მოვლენების უცვლელ სინათლესა და ჩემი ჰარმონიის მუდმივობაზე.

- რა არის თქვენი შთაგონების წყარო და რომელი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენლად მიიჩნევთ თავს?

- შთაგონება ფრაგმენტული სურათების თვალ-ბადურაში კალმახებივით ჭერას ჰგავს. იდეათა იმგვარ ყალიბებში ვასხამ ფიქრთა შენადნობს, რაც ერთეული განცდის ან სიტყვის საფუძველზე იქმნება, რადგან ჭეშმარიტების სასიცოცხლო ციკლი წამის ინტერვალში ხორციელდება. მეორე მხრივ, როგორც ჩემს ერთ ვერლიბრში ვწერ - „გულის მარანში საპირისპირო პრინციპი მოქმედებს - სანამ გრძნობა გაუხუნარია, მანამ უნდა შესვა. ადამიანები და მოვლენები მოგონებებად გადადუღდებიან ბაქმაზივით და ფიქრს როცა გაჭყვები წარსულის სივრცეში, გემოს გაუხსენებ თითოეულს, ფილტვებიდან ხვნეშად ამოგივა „გამოცდილება“. ამდენად, შთაგონება შეიძლება, ზოგიერთ ჩემეულ შემთხვევაში, ფიქრის, დაკვირვებისა და გრძნობის ხანგრძლივი პროცესის მყისიერ პროდუქტად ქცევას და სიტყვად გაბუდევებას ნიშნავდეს. ვფიქრობ, მწერალს ახალგაზრდული ჩქარასანი ფიქრი და უწყვეტი თვითძიებაც უნდა ჰქონდეს შემოქმედებაში და მხცოვანებისთვის სახასიათო სიდინჯე-მიკუთვნებულობაც. ამდენად, თავს იმ მწერლების თანამოაზრედაც ვთვლი, ვინც სიტყვების საშუალებით უსასრულო სამყაროს კვლევას ცდილობს ჩარჩოების გარეშე და, ამავდროულად, რადგან თავისუფალი ფორმა, ღრმა ემოციური განცდები და ადამიანის სულიერი სამყაროს ყველა ღრმა ჭიდან ამოსაზიდი ჩემი ნაშრომების იდეურ ბირთვს ქმნის, ამიტომ, ვერლიბრი ჩემთვის გამოხატვის განსაკუთრებული საშუალებაა.

- ათი მცნებიდან ყველაზე არსებითად და დაურღვევლად რომელს მიიჩნევ და რატომ?

- ათი მცნებიდან ჩემთვის არსებითად არც ერთი გამოიყოფა, რადგან ისინი, როგორც ცალკეული ჭეშმარიტებები, ერთად ქმნიან სრულყოფილ სულიერ წესრიგს. ჰარმონია მიიღწევა სისრულით და არასდროს - ცალკეულობით. სულის ღილკილოები თანაბრად დასაბნევია.

- ჩემი ყველაზე დიდი მეგობარი წიგნია - ამ ფრთიან გამოთქმას რას დაამატებთ?.. და წიგნები, რომლებმაც სული გაგინათეს...

- წიგნი გონების სპეკალია. პიროვნებად ფორმირების, აზროვნების ფორმების ჭრისა და კვეთის, დახვეწისა და სრულყოფის პროცესი ლიტერატურული პილიგრიმობის გარეშე წარმოუდგენლად მეჩვენება. მსოფლიო ლიტერატურის მრავალფეროვან თემატურ მოზაიკაში ჩაძირვაა თვითძიების შეუდარებელი საშუალება. ჩემთვის სულმნათი წიგნები, მრავალ სხვათა შორის, გამორჩეულად კამიუს, ფოლკნერს, კაფკას ეკუთვნის.

- როგორია, თქვენი დაკვირვებით, თაობათა ცვლა, რით გამოირჩევიან თანამედროვე ახალგაზრდები და რა არის ამ ეტაპზე წარმატებისათვის მთავარი?

- თაობათა ცვლა ისტორიის განმავლობაში განმეორებადი, უნიკალური გამოცდილებითა და ფაქტორთა გავლენით ჩამოყალიბებული ფენომენია. თანამედროვე ახალგაზრდები ცხოვრობენ ინფორმაციის შეუზღუდავ ნაკადში, რაც უდიდეს შესაძლებლობებს აძლევთ, მაღალი პასუხისმგებლობითა და სირთულით მოახდინონ სწორისა და შესაბამისის შერჩევა. თაობის ნიშანდობლივ მახასიათებლად კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი მიდგომის განსაკუთრებულ განვითარებას ვთვლი. საგრძნობი და მნიშვნელოვანია მათი მგრძნობიარობა გლობალური საკითხების მიმართ, რაც სამყაროსეული სურათის მასშტაბის აღქმის ლინზებში დავიწროვების მიზეზით შექმნილი მგონია. წარმატებისათვის ამ ეპოქაში მთავარია, ახალგაზრდებმა შეინარჩუნონ პიროვნული თვითმყოფადობა, არ დაკარგონ საკუთარი ღირებულებები სწრაფად ცვალებად სამყაროში, რადგან იმ ინდივიდუალურ გამოწვევათა შორის, რომელსაც ეპოქისა და დროის ხელი, პიროვნული განსხვავებების მიუხედავად, თანაბრად, გვისხამს მზერის წინ, დღეს უმძლავრესად ვთვლი ცვლილებათა კრიალოსანში შენი ყოფნის არსის, მსუბუქი ძაფის შენარჩუნებას, რომელზეც მარგალიტებადაა ასხმული შენი ყოველი დანაყოფი. თუმცა, ჯამურად, წარმატების გარანტი მუდამ იყო და არის ცოდნისა და შრომის სინთეზი.

- ციფრული ტრანსფორმაცია - დროის ეს მოთხოვნა და თქვენ...

- ციფრული ტრანსფორმაცია, დროის ეს გარდაუვალი ტალღა, მწერლისთვის ახალ გზებს ხსნის შემოქმედებითი ნაშრომების, ფიქრებისა და ემოციების, ფურცლის კედლებში მოსაზღვრულობის, როგორც არსებობის ერთადერთი მყარი ფორმის - ციფრული ხანის ძალით გაშლილ სივრცეებში განუწყვეტელი მოგზაურობის შესაძლებლობით ჩანაცვლების სახით. აქ თითოეული სიტყვა მარცვალია ქარში, ნაყოფიერი ნიადაგების ზედაპირზე დაშვების სურვილით ნაფრენი. ამ ეპოქაში კალმის გვერდით დგება კლავიატურა, ფურცლებს ცვლის თეთრი ეკრანის უსასრულობა. წერის პროცესი უკვე არათუ განმარტოებას მოითხოვს, არამედ გულისხმობს ურთიერთობას მსოფლიო მკითხველთან. აქ კი იბადება გამოწვევა - საკუთარ მუზასთან ახლოობის პარალელურად შეძლო დროის სვლასთან ადაპტირება და მასში შენი ადგილის პოვნა, და მოწოდება - იყო ხმა, რომელსაც ციფრული ქარიშხალი ვერ შეასუსტებს.

- საკუთარი მომავალი - ჩანაფიქრის ასრულების რა ეტაპზე ხართ ახლა და რას ისახავთ მიზნად?

- ჯერ ისევ დიდი გზაა ჩემი პირადი მთის მწვერვალისკენ, თუმცა თითოეული სიახლე ნამდვილადაა პროგრესის ბიძგი. მჯერა, რომ ეს მოგზაურობა საოცარ სიმაღლეებამდე მიმიყვანს. თითოეული მიღწევა ქმნის ბილეთს წარმატების ჩემეული ვერსიის მისაღწევად.

- თავად რას ჰკითხავდით საკუთარ თავს და რას უპასუხებდით?

- გჯერა თუ არა სამყაროს დიდ, ბედნიერ და ჰარმონიულ სახლად ქცევის? გასათეთრდროშებელ ქსოვილებს მზე ახუნებს, ჩირივით აშრობს, აივნებივით ამოკლებს და ჩვილივით აჭირვეულებს.

> *„ჩემი შემოქმედების გაცნობის შემდეგ, საერთაშორისო ლიტერატურული ჟურნალის გუნდმა რედაქტორის პოზიცია შემომთავაზა. უკვე ორი წელია, წარმატებით ვსაქმიანობ. ამ სტატუსს თან დაერთო ბლოგის მწერლის პოზიცია ორ სხვადასხვა ჟურნალში. ჩემი საქმიანობა მოიცავს ტექსტების - პოეზიისა და პროზის - დეტალურ განხილვას, სიღრმისეულ ანალიზს და არგუმენტირებული შეფასებების მომზადებას“*

ყოველთვის ცდილობს, ნაწარმოებების გმირებს ქართული სახელები დაარქვას

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

სოფო კუბლაშვილი საქართველოს ულამაზესი მხარის, იმერეთის მკვიდრია. იგი წელს, სექტემბერში, პირველად მონაწილეობდა საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში „ზე-კართან“. სამი დღის განმავლობაში შუახევის, ქედის, ხულოს ღირსშესანიშნაობებს გაეცნო, შუბნის ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სკოლაში კი ფესტივალის მონაწილეთა წინაშე წარსდგა ახალი საბავშვო წიგნით „მარცვალას ოინები“. კოლეგები იმ დღიდან „მარცვალას“ სახელით მიმართავდნენ. სოფო კუბლაშვილი ჩვენი სტუმარია

- საამაყოა, იყო ქართველი მწერალი, ის გზა გააგრძელო, რომელსაც სათავე სახელოვანმა ადამიანებმა დაუდეს. იმერეთი ქართულ მწერლობას საინტერესო ნაწარმოებებით ამდიდრებდა. გამონაკლისი ვერც 21-ე საუკუნე იქნება. გამორჩეულად ვეფერები ადგილის დედას, ქართულ სოფელს, სადაც გვაქვს საცხოვრებელი სახლი, ხშირადაც მივდივარ. სოფელი, მისი ადამიანები, ენა, ხასიათი, ბუნება, ჩემი სახლი, რომელიც ტყის შუაგულში დგას, ერთობ სასიკეთო ატმოსფეროს ქმნიან შემოქმედებითი მუშაობისთვის.

> *„მარცვალას ოინების“ მოქმედი პირები მრავლად არ არიან. აქ ერთი ოჯახია წარმოდგენილი: მარცვალა, მისი ძმა, დედა, მამა. მარცვალას ჰყავს მეგობრები, დანარჩენები მწერები და მღრღნელებია. ბევრი რამ, რაც ბავშვობისას გონებაში დაილექა, ნოველებში გავაცოცხლე. ასევე, ვწერ მშობლებზე, ბებიებსა და ბაბუებზე, მეზობლებზე. მკითხველიც საკმაოდ მყავს. ზოგჯერ მეკითხებიან, რატომ გახსოვს ასე დაწვრილებით ყველაფერიო? მრავალი პერსონაჟია რომანში, თუმცა მკითხველი არ დაიკარგება*

მეზობლები, სანათესაო წრე კიდევ უფრო მაძლიერებენ. იმაშიც გამოგიტყდებით, რომ მუდმივად ამ გარემოში ვცხოვრობ, სოფელში არ დავბადებულვარ, მაგრამ ყოველთვის მქონდა ენით აღუწერელი სიყვარული ადგილის დედისადმი.

- ის, რაც ბავშვობასთან ასოცირდება, თქვენს ნაწარმოებებში თუ წარმოჩნდება?

- აუცილებლად. ვერ წარმომიდგენია მწერალი, განსაკუთრებით საბავშვო, რომელიც ბავშვობას გაურბის.

- ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ხართ...

- ჩემი სტუდენტობა ქვეყნის ძნელბედობის პერიოდს უკავშირდება. ის წლები მაინც გამორჩეულ ადგილს იჭერს. სტუდენტობა დავიწყე 1995 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დავამთავრე ქუთაისში. პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით დავიცავი სადიპლომო ნაშრომი. ვარ ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი.

- სპეციალობის მიხედვით თუ გიმუშავიათ?

- როგორ არა, როგორც კი დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი, მაშინვე ბატონ ტარიელ ფუტკარაძესთან ერთად მუშაობა დავიწყე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. გარკვეული დროის განმავლობაში მეცნიერი თანამშრომელი ვიყავი. მქონდა ექსპედიციები საჩხერის რაიონის სოფელ სავანეში. ეს იყო დაუვიწყარი და შემოქმედებითი საქმიანობა. ამ ექსპედიციაზე დაყრდნობით მრავალი ჩანაწერი და ფოტომასალა დამუშავდა, რაც ჩემი პროფესიული მუშაობის ქვაკუთხედი გამოდგა. სკოლებშიც ვიმუშავე, ვარ სერტიფიცირებული პედაგოგი. სიხალისესთან და ძიებასთან ვაკავშირებ და მიყვარს გამოცდების ჩაბარება. ქულებსაც შესაბამისს ვაგროვებ. ამჟამად უმუშევარი ვარ. ამასთან, მეორე პროფესიასაც დავეუფლე - ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტი ვარ. მსურს, ეს სპეციალობა გავამდიდრო და ჩემს ცხოვრებაში ახალი სარბიელი გავიჩინო.

- რა კონდიციამდე მიიყვანეთ დაწყებული სამეცნიერო მუშაობა?

- ფესტივალზე წამოსვლის წინ კარადას ვალაგებდი და ვნახე მრავალი საინტერესო სამეცნიერო მასალა, რაც უეჭველად აისახება ეროვნული მეცნიერების საგანძურში. ფაქტობრივად, ვერ გამოვნახე დრო აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ალბათ, დისერტაციის დაცვაზეც მიდგება ჯერი.

- ნაწარმოების დასაწერად დროის რომელ მონაკვეთს ირჩევთ?

- დილის საათები მიყვარს. დღის თუ საღამოს საათებშიც ვაკეთებ ჩანაწერებს, მაგრამ შეჯამება მაინც დილასთან ასოცირდება. უბის წიგნაკი და კალამი ყოველთვის თან დამაქვს. კერძებსაც რომ ვამზადებ, ზოგჯერ ისეთი ხატოვანი ან ბრძნული ფრაზა მოეძალება გონებას, რომ მთელ ნაწარმოებს ალამაზებს. გაკრული ხელით ვწერ და... ყველაფერი კომპიუტერზე გადამაქვს. ეს შემიძლია დღის ნებისმიერ მონაკვეთში გავაკეთო. დაწერილი მასალის გადამუშავებაც მიყვარს და ამის შემდეგ პროდუქცია სასურველ სახეს იღებს. მიყვარს მზის ამოსვლის პროცესიც.

- არიან მწერლები, რომლებსაც რაღაც დაესიზმრებათ თუ არა, ფურცელზე გადაქვთ. ასეთი შემთხვევები თუ გქონიათ?

- როგორ არა, ძალიან ხშირად, თანაც გგონია, რომ ძილიდან არ ხარ გამოსული, თითქოს ყველაფერი სრულყოფილად ჩაწერე. დილით თვალს გადაავლებ და საკუთარ თავს განაჩენს გამოუტან. არის ისეთი სიტყვებიც, რომელთა მნიშვნელობას ვეღარ ვიხსენებ და მიკვირს, რატომ ჩავიწერე.

- „ზე-კართან“ ფესტივალის მონაწილეებს „მარცვალას ოინების“ გმირები გააცანით. სხვა ნაწარმოებების გმირები რა ასაკის არიან?

- „მარცვალას ოინების“ მოქმედი პირები მრავლად არ არიან. აქ ერთი ოჯახია წარმოდგენილი: მარცვალა, მისი ძმა, დედა, მამა. მარცვალას ჰყავს მეგობრები, დანარჩენები მწერები და მღრღნელებია. ბევრი რამ, რაც ბავშვობისას გონებაში დაილექა, ნოველებში გავაცოცხლე. ასევე, ვწერ მშობლებზე, ბებიებსა და ბაბუებზე, მეზობლებზე. მკითხველიც საკმაოდ მყავს. ზოგჯერ მეკითხებიან, რატომ გახსოვს ასე დაწვრილებით ყველაფერიო? მრავალი პერსონაჟია რომანში, თუმცა მკითხველი არ დაიკარგება. მიყვარს რომანზე საუბარი. „ორი დაბადება“ იმიტომ ჰქვია, რომ ორი ამბავია გადმოცემული. არ მინდა, ყველაფერი დეტალურად მოგითხროთ. ამ ინტერვიუს შემდეგ თქვენი გაზეთის მკითხველიც უნდა დაინტერესდეს ჩემი შემოქმედებით. გარდა ბოლო მოთხრობისა, ყველაფერი რეალური და ნამდვილი ამბავია. ყოველთვის ვცდილობ, ნაწარმოებების მოქმედ პირებს ქართული სახელები დავარქვა.

- ვინ არის სოფო კუბლაშვილი?

- მწერალი. საქართველოსა და ქართველობაზე დიდად შეყვარებული.

- კარგია მწერლობა, მაგრამ ქალისთვის დედობა უმთავრესია...

- გეთანხმებით. უფალმა ქალი სიცოცხლის საწყისად გააჩინა...

- თქვენი დამოკიდებულება მრწამსისადმი...

- ქრისტიანი მართლმადიდებელი ვარ. მცირე ასაკში მოვინათლე. ეს რიტუალი დიდი ბებიის დაბადების დღეს დაამთხვიეს. ჩვენი რელიგია საქართველოს სულიერებას ატარებს. იგი მიბმულია ეროვნულ ისტორიასა და კულტურაზე.

„მადლობა ბათუმს, რომ მიმიღო“

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ბათუმში, ზურაბ გორგილაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩების კვეთას რომ ჩაუვლით, შეხვდებით კუთხეში მჯდომ ბებოს - ზინა მალაზონიას, რომელიც ყოველ დილით ოზურგეთიდან ბათუმში ლიმონისა და ფორთოხლის გასაყიდად ჩამოდის, რითაც ოჯახს არჩენს

9 წელია, რაც გორგილაძის ქუჩის №74 მისი მისამართი გახდა და ბათუმელებსა და ქალაქის სტუმრებს შემოდგომა-ზამთრის პერიოდში გემრიელი ციტრუსით, გაზაფხულ-ზაფხულში კი ულამაზესი ყვავილებით ამარაგებს. მეც, სამსახურიდან სახლში მიმავალს, ხშირად შემიმჩნევია ზინა ბებო, რომელიც, რთული ცხოვრების მიუხედავად, სულ იღიმის

- არ გაქვთ მარტივი ცხოვრება...

- ბავშვობაც რთული მქონდა. ჩვენი ოჯახი სტალინმა ყაზახეთში გადაასახლა, მაშინ 4 წლის ვიყავი და მეც, ოჯახთან ერთად, დიდი ტანჯვა გადავიტანე. 31 წლის ასაკში მეუღლე დამეღუპა და შვილები ობლად დამრჩნენ, წვალებით და ტანჯვით გავზარდე.

- რამდენი ხანია, რაც ქუჩაში ციტრუსს ყიდით?

- 1991 წლიდან ქუჩაში ვარ. სამსახურიდან რომ გამათავისუფლეს, თავის რჩენისთვის ერთადერთი საშუალება ქუჩაში დგომა და ციტრუსის გაყიდვა იყო. ცოტა ხნით დავანებე თავი გარეთ მუშაობას, როცა ჩემი შვილი მეხმარებოდა, თუმცა გარდაიცვალა და ისევ ქუჩაში მომიწია გამოსვლა. მეორე შვილი ავადაა და დღემდე ერთადერთი ფულის შემტანი ვარ ოჯახში.

- რატომ გადაწყვიტეთ ოზურგეთიდან ბათუმში სამუშაოდ ჩამოსვლა?

- ოზურგეთში გარეთ მუშაობის საშუალებას აღარ მაძლევდნენ, ბაზრის შენობაში კი ვერაფერს გავყიდდი, რადგან იქ ბევრია ციტრუსის გამყიდველი. ბათუმში ვარ 20 წელია. თავდაპირველად ჭავჭავაძის ქუჩაზე ვმუშაობდი, მაგრამ სიცივის გამო აქ ვარჩიე. თავიდან გასაყიდად იები ჩამოვიტანე და ბათუმელები ისე კარგად მომეპყრნენ, წასვლა აღარ მინდოდა. შემდეგ ლიმონი ჩამოვიტანე და დაინტერესებაც მეტი გაჩნდა. ბათუმელებმა თბილად მიმიღეს. ძალიან დიდ პატივს მცემენ და ყოველთვის ცდილობენ, როგორმე მასიამოვნონ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გორგილაძის ქუჩის 81 ნომერში მცხოვრებთ და ბატონი ბეჟანის ოჯახს, სადაც ლიმონს ტომრებით ვინახავ, დილით გასაყიდად გამომაქვს, ასევე - 74 ნომერში მცხოვრებთ, რომლებიც ტვირთის გადატანაში და ყველანაირად მეხმარებიან. მე ამ კუთხით, ამ ქუჩით ვჭამ ლუკმაპურს. ბათუმში ძალიან თბილი ხალხი ცხოვრობს. ამდენი ხნის განმავლობაში არ მახსენდება დღე, როდესაც ჩემზე ვინმეს ცუდი ეთქვას. მადლობა ბათუმს, რომ მიმიღო და მშიერი არ ვარ.

- რომელ საათზე გამოდიხართ ოზურგეთიდან და შინ როდის ბრუნდებით?

- დილის 8 საათზე ოზურგეთიდან პირველივე სამარშრუტო ტაქსს მოვყვები და ბათუმიდანაც ბოლოს - 8 საათზე მივყვები.

- როგორც ვხედავ, ცუდ ამინდშიც კი გარეთ ხართ სამუშაოდ გამოსული...

- თუ საშინელი თავსხმაა, მხოლოდ მაშინ არ გამოვდივარ, დანარჩენ დროს ყოველთვის ვმუშაობ.

- დღეში დაახლოებით რამდენ ლარს გამოიმუშავებთ?

- მადლიერი ვარ, საშუალოდ 50 ლარს გამოვიმუშავებ. რასაც მე ვაკეთებ, ამას მამაკაციც ვერ შეძლებს, რადგან დიდი მოთმინება სჭირდება. 77 წლის ქალი ვარ და ჯერჯერობით, უფლის ნებით, შემიძლია შრომა.

> *ოზურგეთში გარეთ მუშაობის საშუალებას აღარ მაძლევდნენ, ბაზრის შენობაში კი ვერაფერს გავყიდდი, რადგან იქ ბევრია ციტრუსის გამყიდველი. ბათუმში ვარ 20 წელია. თავდაპირველად, ჭავჭავაძის ქუჩაზე ვმუშაობდი, მაგრამ სიცივის გამო აქ ვარჩიე. თავიდან გასაყიდად იები ჩამოვიტანე და ბათუმელები ისე კარგად მომეპყრნენ, წასვლა აღარ მინდოდა*

- რას ეტყვით იმ ადამიანებს, რომლებიც თქვენსავით გარეთ ვაჭრობენ?

- მადლობას გადავუხდი, რომ შრომა არ ეთაკილებათ. მე მათ დიდ პატივს ვცემ, რადგან ქუჩაში შრომა ძალიან რთულია.

- თქვენი ოცნება...

- ჩვენ ძალიან დიდი ოჯახი გვაქვს და ყველა ერთად ვცხოვრობთ, ვერ ვეტევით, ამიტომ ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, ჩემს შვილს ერთი პატარა ოთახი ჰქონდეს, რომ მის ცოლ-შვილთან ერთად ბედნიერად იცხოვროს.

ზინა ბებომ დამშვიდობებისას ჟურნალისტებსაც გადაგვიხადა მადლობა:

- აქვე, თუ ნებას მომცემთ, მინდა თქვენ და თქვენს კოლეგებს გადაგიხადოთ მადლობა, რადგან ძალიან პატიოსანი ადამიანები ხართ და სიმართლით ცხოვრობთ.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ვინაობა ცნობილია

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად, 6 თვის ვადით, მამუკა ალაფიშვილი აირჩიეს. გადაწყვეტილება უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ხმათა უმრავლესობით მიიღო

თანამდებობაზე თავიდან ორი კანდიდატი იყო რეგისტრირებული, თუმცა ერთ-ერთმა - სოფიო თავაძემ გუშინ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა და კანდიდატურა მოხსნა (მიზეზი უცნობია).

შეგახსენებთ, რომ რექტორის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც თემურ კეჟერაძემ თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა.

- პირველ რიგში, უნივერსიტეტმა ავტორიზაცია უნდა გაიაროს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია როგორც პროფესორ-მასწავლებლებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის. ყურადღება მიექცევა სტუდენტებს, რომლებიც ფოიეში სხედან და პროტესტს განაგრძობენ. ისინი, ცხადია, კარგ პირობებში უნდა იყვნენ. ვფიქრობ, მათთან მეტი კომუნიკაციაა საჭირო და იმ მოთხოვნების გათვალისწინება, რაც აქვთ. სტუდენტებს ჩვენს გეგმებზე ვესაუბრე. ჩემი მიზანია, რომ უნივერსიტეტში არცერთი მხარე არ იყოს დაპირისპირებაში, - განაცხადა მამუკა ალაფიშვილმა.

არჩევნების პარალელურად, ხელოვნების უნივერსიტეტში პროტესტი გრძელდება. ორ კვირაზე მეტია სტუდენტები ღამეს უნივერსიტეტში ათენებენ. ისინი რიგგარეშე არჩევნებსა და საპროტესტო აქციებზე დაპატიმრებულების გათავისუფლებას ითხოვენ.

„საორსა“ – ადამიანების მხარდასაჭერად

მე-5 გვერდიდან

- კარიერული განვითარების პროგრამა ეხმარება ადამიანებს, გახდნენ თავდაჯერებულები, მოტივირებულები, დაიბრუნონ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა და გაზარდონ დამოუკიდებლობის ხარისხი თავიანთ ცხოვრებაში. ცხადია, ლიდერი უნდა იყოს თავდაჯერებული, მოტივირებული, თუმცა, მას სჭირდება საზოგადოებრივი კეთილდღეობა და უანგარო ზრუნვა, რისთვისაც აუცილებელია ცალკე სასწავლო პროგრამა - ლიდერობა, სამოქალაქო ტრანსფორმაცია, სტრატეგიული მენეჯმენტი, რომელსაც „საორსაში“ ვახორციელებთ. საქართველოში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობის წილი ახალგაზრდებში: 15-დან 19 წლამდე - 44,6%, 20-24 წლამდე - 31,9%, 25-29 წლამდე - 20,1%, რაც კიდევ უფრო ზრდის სოციალურ რისკებს საზოგადოებაში და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს. განსაკუთრებით მწვავე სიტუაციაა რეგიონებში, სადაც რესურსებზე ხელმისაწვდომობა და ხარისხიანი განათლების მიღება არასრულყოფილია. არაკვალიფიციური შრომითი ძალა რჩება მთავარ გამოწვევად საქართველოში. უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების სამოქმედო გეგმის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი საქმიანობის ფარგლებში მით უფრო ცხადი გახდა, თუ რაოდენ მოკლებულია ახალგაზრდა იმ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, რომელიც მნიშვნელოვანია სწორედ დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის. უნივერსიტეტებში შექმნილი სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების დეპარტამენტები მხოლოდ ადმინისტრაციულ როლს ასრულებენ, რაც გულისხმობს მხოლოდ სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვას და ინფორმაციის გავრცელება-მიწოდებას. პროექტი სთავაზობს ახალ „საგანმანათლებლო ფორმულას“, რომელიც ადაპტირდა და აჭარაში სტუდენტს წარმატება მოუტანა, ასევე, უზრუნველყოფს ახალგაზრდებისათვის ახალი ცნობიერების ჩამოყალიბებას, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალური „მე - კონცეფციის შექმნას“, მიზნების სწორად დასახვას და რეალური კარიერული შესაძლებლობების განვითარებას.

- ეს პროექტი მხოლოდ აჭარის რეგიონში ხორციელდება თუ მსგავსი სხვაგანაც არსებობს?

- მხოლოდ აჭარის რეგიონში ხორციელდება, თუმცა ამ პროექტის ფარგლებში სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ყველა ახალგაზრდას სხვადასხვა რეგიონიდან თუ დედაქალაქიდან. ჩვენს ორგანიზაციას აქვს კარიერული განვითარების პროგრამების განხორციელების ექსკლუზიური კომპეტენცია და გამოცდილება. ვმუშაობთ მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, პედაგოგებთან, მშობლებთან, სამუშაოს მაძიებელ და დასაქმებულ ადამიანებთან, მეწარმეებთან, აღმასრულებელ და მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულ ადამიანებთან.

- რა გეგმები გაქვთ?

- ჩვენთვის მნიშვნელოვანია, დავუბრუნდეთ ევროინტეგრაციის პროცესებს. საქართველო აუცილებლად უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. დონორების მხარდაჭერის გარეშე საქართველოს არსებობა, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. თუ ქვეყანაში ადამიანები არ იქნებიან ბედნიერები და ვერ შეძლებენ კარიერაში ოცნებების ახდენას, ვერ მიაღწევენ გენდერულ თანასწორობას, სოციალურ სამართლიანობას, ფიზიკურად წარმოუდგენელია ასეთ საქართველოში კარიერულ თავისუფლებაზე საუბარი. ამიტომ ჩვენთვის უპირატესია ქვეყნის ევროინტეგრაცია, სოციალური უსაფრთხოება, ხარისხიანი განათლება და ეკონომიკური განვითარება ყველა ოჯახისთვის. ჩვენ ვაგრძელებთ შრომას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ჩვენი სოლიდარობა და თავისუფლება - სინდისის პატიმრებს!

განცხადებები

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი“ აცხადებს

ღია კონკურსს

შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

ა) სამართლის მიმართულებით - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, პროფესიული ნიშნით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული;

ბ) საჯარო მმართველობის მიმართულებით - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 5 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, პროფესიული ნიშნით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული;

გ) მათემატიკის მიმართულებით - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 5 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული, პროფესიული ნიშნით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული;

დ) განათლების მიმართულებით - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 6 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, პროფესიული ნიშნით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული;

ე) ჟურნალისტიკის მიმართულებით - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 5 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული, პროფესიული ნიშნით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული;

ვ) ხელოვნების ისტორიისა და თეორიის მიმართულებით - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 5 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული, პროფესიული ნიშნით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული;

ზ) ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 5 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული, პროფესიული ნიშნით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული;

თ) საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის მიმართულებით - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 8 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული, პროფესიული ნიშნით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული;

ი) ქართული ფილოლოგიის და ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 8 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 5 საშტატო ერთეული, პროფესიული ნიშნით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული;

კ) მეტყველების მიმართულებით - პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 4 საშტატო ერთეული, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 3 საშტატო ერთეული, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული, პროფესიული ნიშნით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2 საშტატო ერთეული.

განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) განცხადებების მიღება იწარმოებს უნივერსიტეტის კანცელარიაში 2025 წლის 25 თებერვლიდან 7 მარტის ჩათვლით, ყოველდღე - 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, კვირა დღის გარდა;

ბ) კონკურსი ჩატარდება 2025 წლის 10 მარტიდან 15 მარტის ჩათვლით. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება არა უგვიანეს 20 მარტისა უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.tbeli.ge

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (დანართი №1-ის შესაბამისად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

გ) ავტობიოგრაფია ქართულ და ინგლისურ ენებზე (CV);

დ) სანოტარო წესით დამოწმებული უმაღლესი განათლების და შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ე) პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გამოცდილების (სტაჟი) დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) 2 ცალი ფოტოსურათი - 3X4 სმ;

ზ) ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;

თ) იმ სამეცნიერო კონფერენციების ჩამონათვალი, რომლებშიც ბოლო 10 წლის განმავლობაში მიიღო აპლიკანტმა მონაწილეობა (კონფერენციის დასახელების, ჩატარების ადგილის, თარიღისა და წაკითხული მოხსენების მითითებით).

კონკურსში მონაწილე პირმა წინასწარ, წერილობითი სახით უნდა დაადასტუროს (თანხმობის ფორმა ივსება კანცელარიაში), რომ, გამარჯვების შემთხვევაში, აფილირებული იქნება ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში“ რექტორის მიერ დამტკიცებული, „აკადემიური პერსონალის აფილირების წესის“ შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებელია კონკურსანტი.

ეთერ დიასამიძე, ბესიკ, გიორგი, გოჩა, უჩა დავითაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ტარიელ ხასანის ძე დიასამიძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემლობა რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 30/01/25, 18 ¹⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„მარადიული ბიჭის“ სიჩუმით მოყოლილი გულისა და სულის მთავარი ამბები

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის მწერალთა სახლში, პროექტ „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“ ფარგლებში, მხატვარ გურამ გუჯაბიძესთან შეხვედრა გაიმართა. საღამოს მთავარმა მასპინძელმა, პოეტმა ვახტანგ ღლონტმა მხატვრის შემოქმედებაზე დიდი სიყვარულით ისაუბრა და მას მადლობა გადაუხადა ღირსეული ბათუმელობისთვის

გურამ გუჯაბიძის მდიდარ შემოქმედებით გზაზე, მის პიროვნებასა და სიყვარულის უნარზე ისაუბრეს მისმა მეგობრებმა, კოლეგებმა, ახლობლებმა და ერთხმად აღნიშნეს, რომ მისი თითოეული ტილო უდიდესი სიყვარულითა და გულწრფელობითაა შესრულებული. მათში მთელი სიცხადით იგრძნობა განწყობა, რითაც შემოქმედი ყვება თავისი გულისა და სულის ამბებს.

- ხანდახან თვითონ გურამი მგონია შემოქმედების ნიმუში. არიან ადამიანები, რომლებიც უხდებიან თავიანთ საქმეს, სპეციალობას, პროფესიას, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ვერ ეტევიან ამ ჩარჩოში და უხდებიან ქალაქს, საზოგადოებას, ქვეყანას. ასეთია ჩვენი დღევანდელი სტუმარი. თავისი მანერებითაც კი განსაკუთრებულ პეწს სძენს თავის ქალაქს. მშვიდი, მოსიყვარულე, ნიჭიერი ხელოვანია. სულ მინდოდა, გამომეხატა პატივისცემა მის მიმართ. საიუბილო თარიღამდე ორი თვით ადრე ეს საღამოც შედგა და მომეცა ამის შესაძლებლობა. მწერალთა სახლს მინდა მადლობა გადავუხადო მასპინძლობისთვის, მალე ამ შენობას ახალი სივრცე ექნება, სადაც არაერთი ღონისძიება ჩატარდება. ჩემს საღამოებს სიყვარულისა და მადლიერების გაკვეთილებს ვარქმევ, რომელზეც ხან ცოტა ხალხია, ხან ბევრი, მაგრამ რიცხვი არაფერს ნიშნავს, რა გულით და სიყვარულით მიხვალ ამა თუ იმ საღამოზე, ამას აქვს მნიშვნელობა. მინდა, გურამ გუჯაბიძეს, მარადიულ ბიჭს, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ღირსეული ბათუმელობისთვის და წარმატებები ვუსურვო შემოქმედებით გზაზე, - აღნიშნა ვახტანგ ღლონტმა.

ღონისძიების დასასრულ შეკრებილებს მადლობა გადაუხადა მხატვარმა და აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ არ უყვარს საკუთარი თავისა და შემოქმედების აფიშირება, დგება მომენტი, როცა ამას აკეთებ და კიდევ ერთხელ ხვდები, ყველაზე დიდი ჯილდო, რაც ნებისმიერი ხელოვანისთვის, ზოგადად, ადამიანისთვის უმთავრესია - ხალხის სიყვარული, ასე უხვად გაქვს.

- მინდა, ბატონ ვახტანგს, თითოეულ ადამიანს მადლობა გადავუხადო დღევანდელი საღამოსთვის, იმ ემოციებისთვის, რაც მივიღე. არ მიყვარს საკუთარი თავის წარმოჩენა, მაგრამ მოხდა ისე, რომ დღეს აქ ვარ. ადრე არ ვმონაწილეობდი გამოფენებში, მაგრამ ასაკმაც თავისი მოიტანა და ვიფიქრე, დადგა დრო, ჩემი შემოქმედება უფრო ფართო აუდიტორიას გავაცნო. გამიფორმებია ძალიან ბევრი წიგნი, 30 წლის განმავლობაში მხატვრული რედაქტორი ვიყავი, ამაში ვდებდი მთელ ძალისხმევას. ჩემი შემოქმედება არის ის, რაც გულიდან მოდის, რაც ჩემს გულს, სულს მოუნდება, იმას ვაკეთებ. თავისუფლებაა ის მთავარი ძალა, რაც სჭირდება ყველა შემოქმედ ადამიანს, რათა აკეთოს ის, რაც სურს. მოდის მუზა და რასაც მკარნახობს, იმას ვხატავ. ტილოსთან მისვლამდე სამი დღე ვფიქრობ, მერე შეიძლება ერთ საათში დავხატო, შეიძლება ერთი თვე დამჭირდეს, ერთი წელიც. ზუსტი ფორმულა არ ვიცი თუ რის გამო შეიძლება შეგიყვაროს და შეიყვაროს, შენი შემოქმედება ადამიანმა. ალბათ, ეს გულწრფელობა და იმ საქმის დიდი სიყვარულია, რასაც აკეთებ. სისუფთავე, გულწრფელობა ყოველთვის იგრძნობა შემოქმედებაში, რის გამოც ხდები მისაღები ადამიანებისთვის. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა დღევანდელი საღამოსთვის ყველა ჩემს გულშემატკივარს. შეუძლებელია, ემოციის გარეშე უსმინო ადამიანებს, რომლებიც შენ მიმართ ამხელა პატივისცემას და სიყვარულს გამოხატავენ, - გვითხრა გურამ გუჯაბიძემ.

მეგობარი – მზე სულისა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

წინა საუკუნის 70-80-იანი წლების ბათუმელებს კარგად ახსოვთ ქალბატონი ლუბა ბიბილეიშვილი, რომელიც ერუდიციით, სიდარბაისლით, მჭევრმეტყველებით გამორჩეული, ათეულობით წლის განმავლობაში პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწე, მრავალი კეთილი საქმის მოთავე, დაუღალავი, პოეზიისა და ხელოვნების სიყვარულით, მეგობრობის დიდი გრძნობით განათებული გახლავთ

ლამაზი სამეგობრო წრე ჰყავდა ბათუმში - პოეტებისა და მსახიობების, მეცნიერების... ერთი მათგანი, ნელი დუმბაძე სტუდენტობიდანვე თავისი სულის ხატად წარმოისახა. ვისაც თუნდაც ერთხელ ნელი დუმბაძის

ლექციისათვის მოუსმენია და მის უსაზღვრო სულიერ და გონებრივ სიმდიდრეს ზიარებია, ეს არ გააკვირვებს. ამ დიდ ქალბატონს, რამდენიმე წლის წინ, 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ლუბა ბიბილეიშვილმა წიგნიც მიუძღვნა - „ღვთის ტაძრის სულიერი ბინადარი“ და ერთხელ კიდევ გაცხადდა, ჭეშმარიტ მეგობრობას სიკვდილი ვერას აკლებს. მან მეგობრის ხსოვნა უკვდავყო და თავადაც ნათლით შეიმოსა.

რუსთაველის ქვეყნის შვილებს „მეგობრობა გზად და ხიდად“ ერთ-ერთ მთავარ ღირებულებად მიგვაჩნია. სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა შთააგონა ქალბატონ ლუბას ახალი ნაშრომი. ვრცელ მონოგრაფიაში წარმოაჩინა თავისი დიდი მეგობარი - განათლების ამაგდარი, ცნობილი მეცნიერი და მოღვაწე იოსებ ბოცვაძე. ქალბატონ ლუბას მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუწია, სანამ წიგნი მზის სინათლეს იხილავდა. და აი, მკითხველის სამსჯავროზეა ეს ვრცელი მონოგრაფია - „გზათა ზედა მოღვაწეებით მავალნი“.

ქალბატონი ლუბა კარგა ხანია თბილისში ცხოვრობს და განაგრძობს სამეცნიერო საქმიანობას. პიროვნული თვისებებითა და ერუდიციით, მეგობრობით, შრომისმოყვარეობით მან კოლეგების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, რაც წიგნის გამოცემისას მათი მხარდაჭერითაც დადასტურდა. მადლიერების გამოხატვაშიც უბადლოა და სამაგალითო.

- გილოცავთ ახალ წიგნს. მოდით, თავად იყავით გზამკვლევი.

- კარგა ხანს ვმუშაობდი ამ წიგნის გამოსაცემად. იოლი ნამდვილად არ იყო, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობამ, რომ ბოცვაძეთა დიდი ღვაწლის შესახებ ახალგაზრდობას უნდა სცოდნოდა, ძალ-ღონე შემმატა. დაინტერესებულ მკითხველს წარმოუდგება დიდი პედაგოგების - ლუარსაბ და ნინო ბოცვაძეებისა და იოსებ ბოცვაძის ბიოგრაფიული პორტრეტები, მათი ცხოვრების გზა და წვლილი განათლებისა და კულტურის განვითარებაში დღემდე უცნობი პირადი წერილებისა და საოჯახო არქივის მიხედვით.

- ბოცვაძეების საოჯახო არქივი, როგორც ჩანს, მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან წერილს ინახავს...

- დიახ, და წიგნში ყველა გამოვამზეურე. აქვე მინდა, მკითხველს ისიც ვამცნო, რომ საოჯახო არქივში ინახება იაკობ გოგებაშვილის ხელჯოხი. იაკობი და ლუარსაბ ბოცვაძე მეგობრები და თანამოაზრენი იყვნენ. იაკობის გარდაცვალების შემდეგ, იქ მყოფთ უფლება მიეცათ, რაიმე ნივთი წაეღოთ სამახსოვროდ. ბატონმა იოსებმა ხელჯოხი აირჩია.

- თავად წიგნის სტრუქტურაზე რას გვეტყოდით?

- ამ წიგნში მეტი ყურადღება ლუარსაბისა და ნინოს ბიოგრაფიებს დაეთმო. საარქივო მასალის გაცნობის შემდეგ მკითხველისათვის ცხადი გახდება, როგორ იბრძოდა ლუარსაბი ქართული სკოლის გარუსულების წინააღმდეგ, როგორ მიაღწია მისმა მეუღლე ნინომ, დასთან - ეკატერინესთან ერთად, ისე განეახლებინა გოგებაშვილისეული „დედა ენა,“ რომ მას ახალი ქართული სკოლისათვის ათწლეულების განმავლობაში ეროვნული სამსახური გაეწია.

- ვის ემადლიერებით, ვინ გაგიწიათ დახმარება წიგნის გამოცემაში?

- დიდი მადლობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს, რომელმაც მწვანე შუქი აუნთო ამ წიგნს. იგი ორი გრიფით - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრიფით გამოიცა. წიგნის რედაქტორია ნ. ქაფიანიძე, სამეცნიერო რედაქტორი - აკადემიკოსი ნათელა ვასაძე. ვემადლიერები რეცენზენტებსაც - პროფესორებს ლია მენთეშაშვილსა და ვაჟა დანელიას.

- ზემოთ ბრძანეთ, რომ უფრო ვრცლად უფროსი თაობის ბოცვაძეები არიან წარმოდგენილნი...

- დიახ, ასეა, რადგან იოსებ ბოცვაძეზე მომდევნო წიგნსაც შემოგთავაზებთ... ეს დიდი ადამიანი და მოღვაწეა, რომელთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება და მეგობრობა მარგუნა ღმერთმა. იგი განსაკუთრებულ პატივს იმსახურებს. დიახ, ეს ჩემი, როგორც მეგობრის, ვალია და ახლა, როცა მისი ცხოვრების გზას შემფასებლის პოზიციიდან ვჭვრეტ, ვრწმუნდები, ასეთი ადამიანები ერის სამდიდრეა, გზის მანათობლები და ისინი უკვდავების შარავანდედით უნდა შევმოსოთ. გემადლიერებით თქვენ, გაზეთ „აჭარის“ მთელ რედაქციას, მიხარია, რომ მთელ მედიასივრცეში ეროვნული მუხტით გამოირჩევით. წარმატებებს გისურვებთ!

- ჩვენც წარმატებას გისურვებთ და მოველით ახალ წიგნს.

„კაცი, რომელიც შვენოდა კაცთა კაცობას“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ამ სახელწოდების წიგნი შოთა მამულაძეზე მეგობრების, კოლეგების, ოჯახის წევრების მოგონებებით შეიკრა და მის ხსოვნას მიეძღვნა



შოთა მამულაძე 1952 წლის 9 მაისს შუახევის რაიონის სოფელ ნენიაში, ხუსეინ მამულაძის ოჯახში დაიბადა. მისი ბავშვობა თანასოფლელი თანატოლებისგან დიდად არ განსხვავდებოდა, თუმცა შემდეგ მან თავი გამოიჩინა როგორც ღვაწლმოსილმა მეცნიერმა.

ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრებისთანავე, ისტორიის კათედრაზე ლაბორანტად დატოვეს. 1978-1981 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლობდა. მისი საკანდიდატო და სადოქტორო ნაშრომები აჭარისწყლის ხეობის ისტორიულ-არქეოლოგიურ კვლევებს ეძღვნებოდა და კარგი შეფასებაც დაიმსახურა.

ბატონმა შოთამ განვლო გზა ლაბორანტობიდან ბათუმის უნივერსიტეტის არქეოლოგია-ეთნოლოგიის კათედრის სრულ პროფესორობამდე. კათედრის გამგისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზეც იმუშავა. მისი როლი იმ არქეოლოგიურ ექსპედიციებში წარმოჩნდა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა და მრავალ აღმოჩენას დაუდო სათავე. მან გამოაქვეყნა 180-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 15 მონოგრაფია. 70-მდე საერთაშორისო და 40-მდე ადგილობრივი სამეცნიერო კონგრესის მონაწილე იყო. 60-ზე მეტი ნაშრომი საზღვარგარეთ გამოსცა. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 10-მდე სამეცნიერო გრანტი, 15 სამაგისტრო და 9 სადოქტორო დისერტაციაა დაცული. 1995 წელს მიიღო აბუსერისძე ტბელის, ხოლო 2018 წელს ავტორთა ჯგუფთან ერთად - ივანე ჯავახიშვილის პრემიები.

შოთა მამულაძე ერთი წლის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა. მეუღლე თამილა ვარშანიძის, ქალიშვილების ნინოსა და მარიამის მოგონებებით იწყება წიგნი „კაცი, რომელიც შვენოდა კაცთა კაცობას“. ღირსეულ მეცნიერზე, კოლეგაზე კარგ მეგობარსა და ბათუმელზე, ასევე, შესანიშნავ მეოჯახეზე, მოსიყვარულე მამასა და მეუღლეზე.

გულწრფელი, ემოციებით დაწერილი მოგონებები საინტერესოდ იკითხება. წიგნი აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა (რედაქტორი - თამაზ ფუტკარაძე, სარედაქციო საბჭო - მალხაზ თავდგირიძე, ანზორ, ნინო, მარიამ მამულაძეები, ოთარ კახაძე).